F 1
№ 9-12 1860

№ 12.

# „ცისკრის" გამოცე-მისათვს 1861 წლის.

---

„ცისკარი" მომავალს 1861 წელს გამოვა იმ სახით, რა სახითაც გამოდის ამ წელს.

საზოგადოება ისე შეეჩვა ჩვენის სამშობლოს ენის ჟურნალის კითხვას, ისე კარგათ მოეხსენება ღირსება და მნიშვნელობა, რომ მომატებული იქნება და უალაგო ითქვას ის, რაც რამდენჯერმე თქმულა წინათ გამოცემულს წიგნებში. ახლა მხოლოდ შეგვძლია დავუმატოთ, რომ მომავალს წელიწადს შეუდგებით ქართველის შესავალის ნაწილში იმ ძველის წიგნების ბეჭდვასა,

რომელიცა იშვიათი მოიპოვება საქართველო-
ში და რომლისაცა კითხჳს სურვილი ბევრსა
აქჳს. ამასთანავე ნახეს, საყვარელთა მკითხ-
ველთა და გაიცნეს ის მწერლები, რომელ-
ნიცა ჩუენ ქართველებს მიგვაჩნია სასიქა-
დულოდ.—მომავალის წელიწადს, უპირვე-
ლესნი ჩუენი ჟურნალის თანამშრომელნი:
კნ. გრ. ორბელიანი, კნ. ალ. ორბელიანი,
ბაქარ ქართლელი, კოლხიდელი, კნ. ზაქ.
ერის_თავი, დიმ ბაქრაძე და სხვანი. მიიღებენ
იმავე მონაწილეობას, რა მონაწილეობაცა
და შრომაცა უჩუენეს ამ წელს ჩუენს ლიტე-
რატურასა.—პირველის ნომრიდგან იხილ-
ვენ მკითხველნი იმ სასიამოვნოსა ამბავსა,
რომლისაცა კითხჳს სურვილი ბევრსა აქჳს:
ეს ამბავი იქნება ნათარგმნი ქალის დრან-
სეს თხზულებიდგან, რომელიცა ჩინებულად
აღწერს თავისს შამილისგნით დატყვევებასა,
კნ. ილი. ორბელიანის და კნ. დ. ჭავჭა-
ვაძის სახლობისა.—რედაქცია ყოველის
ღონის ძიებით ეცდება ამ ჟურნალის განმ-
შვენიერებისათჳს და წარმატების მიცემისათჳს,
მხოლოდ თუ საზოგადოებაცა დაგვეხმარა ამ

საზოგადოდ ქვეყნის საქმეზედ, ქვეყნის მო-
მწერით გ. ი. მეიოსხელით მოზოგებით — ფასი ისევე შვიდი მანეთი დარჩების, რაც უნდა ჟურნალი განვრცელდეს და მოიმატოს —

უმორჩილესად ვითხოვთ, ვისაც სურვილი აქვს მომავლის წლის «ცისკრის» მიღებისა, ადრე გვაცნობოს, რადგანაც ქვეყნის მომწერით მიხედვით უნდა დაიბეჭდოს წიგნები. წელს ზოგი ერთს დააკლდათ პირველი და მეორე ნომერი, რადგანაც გვიან მიიწერეს და რედაქციაში აღარ მოიპოვებოდა. —

რედ. ივ. კერესელიძე.

# სიტყუა.

თქმული ქუთათის სობოროსა შინა გაბრიელ ეპისკოპოზისა მიერ ჟამსა იმერეთის სამწყსოსა შესვლისასა; ჩყჲ. სეკტ. ზ-სა.

«კაცად კაცადმან თჳსი თჳსი ტვირთი იტვირთოს.»
(გალ. ვ. ე.) იტყჳს წმინდა მოციქული პავლე?

ვიცან რა ნება ღვთისა და განჩინება უმაღლე-
სისა მთავრობისა, რათა ვიყო მე მწყემსად მრევ-
ლისა ამის და ხინებულისა სამწყსოჲსა, ვიწყე
გულის ზრახვად დიდთა მათ და მძიმეთა ვალთა-
თჳს, რომელთა ამიერიდგან თანამდებ ვარ ცჳროად
წინაშე წმინდის ამის ეკკლესიისა. მაშინ მომა-
გონდნენ სიტყუანი პავლე მოციქულისანი, რომ-
ლითა იგი ასწავებდა ერთსა მისგან ეპისკოპოსად
აღმორჩეულსა: «ჯერ არს ეპისკოპოზისა,

რათა ყოვლითურთ იყოს, ფრთხილი, წმიდა, შემკული, სტუმართ-მოყვარე, სწავლული და მოვიხსენე აგრეთვე სიტყვანი, რომელნი მანვე მოციქულმა მისწერა ტიტეს, მისგან ეპისკოპოზად ქმნილ-დასხმულსა: «ჯერ არს ეპისკოპოსისა უბიწოყოფად ვითარცა ღმრთისა მონისა; ნუ თავხედ, ნუ გულმწყრალი, ნუ მოღვინე, ნუ მოლალე, ნუ საძაგელისა შემძინებელი, არამედ სტუმართ მოყვარე, კეთილისა მოყვარე, წმიდა, მართალი ღირს, მოთმინე.» მისთვის გვალადვს სხვანი მრავალნი სწავლანი, მცნებანი, მიილებანი და დარიგებანი, რომელთაცა მაცხოვარი ჩვენი მოძღვრებდა თვისთა მოციქულთა, ხოლო შემდეგ მოციქულნი განაღვმებდნენ თვისთა მოადგილეთა—ეპისკოპოსთა. არა ვარ, გვალადგებ უმეცარ ყოველთათვის, რომელთა მორწმუნენი ემიებენ და მოიისრებენ თვისთა მწყემს-მთავართაგან; და ოდესმე წარმოვიდგენ ყოველთა მათ არა მცირეთა სათნოებათა, რომელნი ჯერ არს შემამკობდნენ მარადის ეპოპოსსა და მრავალთა მათ შრომათა, ჭირთა, მოთმინებათა და წინა აღმდგომთა გარემოებათა, რომელნი ყოველთვის შეემთხვევიან მას, თუ იგი ბეჯითად და ერთგულად შეუდგება თვისსა მსახურებასა, შევკრთები სულითა და ვიტყვი: ვითარ

შესძლო მე უღირსმან და უძლურმან ტჳრთვად ესოდენისა მძიმისა უღლისა!

ჭეშმარიტად, ძმანო ქრისტიანენო, არა მსუბუქ არს ტჳრთვაჲ მღდელთ-მთავრობისა, არა მცირეთა საზრუნებათა ითხოვს მისგან საღმრთო წერილი? პირველი და თჳთ მიუცილებელი საზრუნება, რომელსაც მოითხოვს მისგან პავლე მოციქული, არს უბრალოება ანუ უბიწოება: «ჯერ არს ეპისკოპოსისა» იტყჳს იგი, «რათა უბრალო იყოს.» ანუ სხუაგან: «ჯერ არს ეპისკოპოსისა უბიწოდ ყოფად, ვითარცა ღმრთისა მნესა.» ცხად არს მიზეზი ამისა, ვინაჲდგან ეპისკოპოსი რომელი სხუათა ასწავებს სიწმიდესა, და მოითხოვს რათა ყოველნი უბრალოდ და უბიწოდ ატარებდენ თჳსსა ცხოვრებასა, თჳთ პირველი უნდა აძლევდეს მათ სახესა კეთილისა ცხოვრებისასა, არათუ მხოლოდ სიტყჳთ, არამედ საქმითა და ყოველითა ცხოვრებითა თჳსითა; გარნა ადვილ არს აღსრულებაჲ ესე ვითარისა მცნებისა? ვინ არს იგი, რომელი ცხოვრებს სრულიად კაცთა შორის და არა სცოდავს? ვინ იპოვების ქვეყანასა ზედა, რომელმან შესძლო უბიწოდ ყოფად, თუნცა ერთი მხოლოდ დღე იყო კაცთა შორის ცხოვრებაჲ მისი? უმეტეს ამისა, ვითარ შესძლოს

ეპისკოპოსმა დამარხვა უბიწოებისა, დამშვიდებულმან მრავალთა ვნათა მიერ, რომელნი ემიყებენ მხოლოდ თავისა თჳსისას. მხოლოდ ერთისა ღმრთისა მადლითა თჳსითა მარადის დაიცვას ეპისკოპოსი უბრალოდ და უბიწოდ.

მეორედ, ეპისკოპოსსა, სიტყუასამებრ პავლე მოციქულისა, მართებს რათა იყოს ფრთხილ. ყოველი კაცი, თჳნიერ ეპისკოპოსისა მხოლოდ ერთის თავის თავს უფრთხილდების; ვარნა ეპისკოპოსი ათასსა და ბიურეულსა. მინდო რა მას ღმერთმან სიტყჳერი სამწყსოჲ, მოითხოვს მისგან, რათა ყოველსა წამსა მკაცრ და მღვიძარე იყოს, რათა არცა ერთი ცხოვარი, მისდამი მინდობილი წარწყმდეს მისითა ბრალითა, ვინაჲდგან გამოიკითხავს ღმერთი მისგან სულსა თითოეულსა წარწყმედილისა ცხოვარისასა. ვაჲ იმ მღვდელთმთავარსა, ანუ მღვდელსაცა, რომელმან დაუდევრობითა თჳსითა დაუკარგა უფალსა თჳსსა რაოდენიმე სული, გამოსყიდული სისხლითა უფლისათა? ვითარ პასუხს მისცემს იგი წინაშე საშინელისა სამსჯავროსა ქრისტესსა. ვარნა თუ კაცად კაცადსა ჩვენ შორის უმეტეს ფრთხილ იყოს და განამტკიცოს თავი თჳსი კეთილსა გზასა ზედა; რაოდენ უმეტეს არს ეპისკოპოსისათჳს გაუფრთხილ-

დეს თავსა თჳსსაცა და მრთელსა სამწყსოსა თჳსსა? და თუმცაღა მრავალი ეცადოს, თუმცა არც ღამე მოისვენოს და არც დღე და ყოველი თჳსი სწავლა და ღონე მოახმაროს თჳსსა სამწყსოსა, შეუძლია ბოლოს გულ მოსვენებით თქვას, რომელ ყოველი კარგათ განაგო და კეთილად აღასრულა ვალი თჳსი? ნეტარ არს მღჳდელ მთავარი იგი, რომელსა მალუმს იპოვოს რამდენიმე ღირსნი თანა მწირველნი და მემწყენი, რომელნი მოისდომებენ გულმოდგინედ აღასრულონ ვალი თჳსი და მით შეუმსუბუქონ მას უღელი მძიმე? ადვილად აღასრულებს თჳსსა მოვალეობასა ეპისკოპოსი, გარემოცული კეთილთა და ღირსთა სამღჳდელოთა მიერ, რომელნი ყოველთჳს თანაზიარ ექმნებიან შრომათა, ჭირთა და განსაცდელთა მისთა, ხოლო რავდენ უკჱ შესაბრალებელ იქმნება იგი მღჳდელთ მთავარი, რომელი შემწეობისა წილ ნახავს თჳსთა შორის სამღჳდელოთა უმეტესსა ჭირსა და განსაცდელსა.

გევედრები, შორს ჰყავ ჩემგან, მაცხოვარო! მწარე ეს განსაცდელი; გთხოვ თქუენცა საყვარელნო ძმანო! თანა მწირველნო ჩემნო, არ დამამძიმოთ, არამედ აღმიმსუბუქოთ მსახურება ჩემი; ფრთხილ იყოს კაცად კაცადი თქუენი სამწყსოს ზედა თჳსსა, რათა არც ერთი საყვედური ექონ-

დეთ მორწმუნეთა შორის, არამედ იქნებოდეთ მათ-თჳს სახედ სიტყვითა და საქმითა.

მესამე, წმიდა მოციქული პავლე, მოითხოვს მღვდელთ მთავრისაგან, რათა იყოს არა თუ მხოლოდ უბრალო, არამედ შემკული, ესე იგი მქონე ყოველთა სათნოებათა და სახიერებათა.

მსახურება ეპისკოპოზისა მით უმეტეს ძნელ არს, რომელ ყოველნი მორწმუნენი მარადის მისგან ელიან მოძღვრებასა და აღშენებასა. სულიერსა არს მაღალს მას დაჭვარის ვითარმე თჳსი თჳსება ანუ მოქმედება. ვითარცა აღნთებული სანთელი მაღალსა ადგილსა ზედა დადგმული ნათობს გარემო მისსა და ჩანს შორიდგანვე, ესრეთ არს ცხოვრება კეთილის ეპისკოპოსისა, ხოლო ცხოვრება და ყოფაქცევა უღირსისა მღვდელთ მთავრისა ემსგავსება საკვამლესა სახლის სართულსა სართულისა ზედა აგზნილსა, რომლიდგან გამომავალი კვამლი აბნელებს ჭერსა და ჩანს აგრეთვე შორიდგან. ამისთჳს ეპისკოპოსი თჳთ მარტო ვერც ცხონდების და ვერც წარწყმდების. კეთილი ეპისკოპოსი აცხოვნებს თჳსთან მრავალთა, ხოლო უღირსი წარწყმედს უმრავლესთა. გარნა რას იტყჳს უფალი იესო ქრისტე ცუდთა და მაცთუნებელთა კაცთათჳს! რომელმან დააბრკოლოს

ერთი მცირეთა ამათგანი ნუმცა მიმართ მორწმუნეთა, უმჯობეს არს მისა და მოეკიდოს წისქვილი ქედსა და დაინთქას იგი უფსკრულსა ზღუსასა (მათ. იჱ, ვ);» და თუ ასრე არს თქმული ყოველთა კაცთა დამაბრკოლებელთათჳს, რაჲღა უნდა ვსთქუათ ეპისკოპოსსა ზედა, რომელი აღშენებისაწილ დაამბრკოლებს მორწმუნეთა! საშინელი არს წარმოდგენა ამისა! ამისთჳს ძმანო ვითარი კრძალულება და მეცადინეობა მართებს მღდელთ მთავარსა, რავდენითა სათნოებითა უფრო არს შემკულ იყოს იგი, ვინაიდგან თანამდებ არს მისცემდეს მაგალითსა დიდთა, მცირეთაცა, მდიდართა და ღარიბთა, ერთა და მღდელთა. ცუდი სოფელი ესე ისარგებლებს ოდეს ხედავს ეპისკოპოსსა არა ჯეროვან მცხოვრებსა, ვინაიდგან ცუდად მცხოვრებნი პირნი თავისა თჳსსა ამართლებენ მიმხედველნი ცუდის ყოფაქცევისა მისისა; უკეთუ კეთილნიცა და ღირსნი ეპისკოპოსნი ზოგჯერ ვერ განერებიან გესლოანსა ენასა ბოროტთა კაცთასა, ვითარ განერების სუსტი და უღირსი?...

არა უმიზეზოდ გიტყჳ ძმანო, ამას ყოველსა, არა უმიზეზოდ ვცდილობ გამოვსახო თქუენ წინაშე სიმძიმე მოვალეობისა ამის მსახურებისა ჩემისა. განმზრახვა ჩემი მას შინა მდგომარეობს,

რათა აღვადგინო გულსა შინა თქუენსა მონაწილეობა და თანამგრძნობელობა. ჩემისა მსახურებისა, რათა იყოთ თქუენცა ყოველნი შემწედ და აღმასუბუქებელად ტვირთვისა ჩემისა. საგანი და ანუ ჭაპრი ჩემისა მსახურებისა იქნება სულიერი წარმატება თქუენი; და უკეთუ თქვენ ყოველნი აღმოჩნდებით მეცადინედ და მოშურნედ კეთილსა, ქრისტიანობრივსა მოქალაქობასა შინა, მაშინ ფრიად ადვილ და სანუგეშო იქნება ჩემთჳს მსახურება ჩემი. დარწმუნებული ვარ, რომელ თქუენ ყოველთა გსურსთ მიიღებდეთ ჩემგან რომელსამე სულიერსა სარგებლობასა, ხოლო მეც უმეტეს ყოვლისა ვნატრობ მქონდეს თქუენ შორის რომელიმე სულიერი ნაყოფი, გარნა ერთი მხოლოდ არს ღონე ამის, — ქრისტიანობრივი სიყვარული; სადაცა არა სუფევს სიყვარული, მუნ არცა ერთი სულიერი ნაყოფი გამოჩნდება. ამისთჳს ძმანო ჩემნო, ყოვლად საყვარელნო! შევიმოსოთ სიყვარული ურთიერთობრივი და შევუდგეთ ამიერიდგან წრფელსა გზასა უფლისასა. ნაკლულევანებათა ჩემთა აღავსებდეს სიყვარული თქუენი, ვინაიდგან კაცი ვარ და ყოველი კაცობრივი არა შორს არს ჩემგან. დარიგებათა და მოძღვრებათა ჩემთა მიიღებდეთ გულსმოდგინებით და სცდილობდეთ აღასრულოთ იგინი.

მხილებანი ჩუენნი, უკეთუ ჭეშმარიტ იქნებიან, თუმცალა მწარე იყვნენ, ნუ გულ წყრომასა აღადგინებენ გულთა შინა თქუენთა, არამედ სინანულსა და აღსარებასა.

ხოლო აწ აღავლინოთ მხურვალე ვედრება ზეცად, რათა მოწყალებამან ღმრთისამან არა უქმ და უნაყოფო გამოაჩინოს მომავალი მსახურება ჩემი თქუენ შორის, არამედ რომელმან მყო მე მწყემს მთავრად სიტყჳერისა თჳსისა სამწყსოსა, მანვე სახიერმან მომცეს მალი და გონება კეთილად აღვასრულო ნება მისი და არცა ერთი სული ჩემისა სამწყსოსა დაუკარგო უფალსა ჩემსა, არამედ მალომედვას კადნიერებით წარვსდგე წინაშე უკანასკნელსა და საშინელსა სამსჯავროსა ქრისტესსა: აჰა მე და ყრმანი, რომელნი მომცნა მე უფალმან (ეს. ჱ, იჱ)."

---

# არაკი ტარტაროზისა,

ანუ

# კუდიანების ღამე.

(მოხუცის კაცისაგან ნაამბობი 1859–სა წელსა, ერთს ღამე, ვახშმის შემდეგ.)

იყო და არა იყორა, ღჳთის უკეთესი რაღა იქნებოდა, იყო ერთი კაცი, ეს კაცი მივიდოდა, ერთს სოფლის მახლობლად, თავის სოფლისაკენ მიმავალი, დიდ ოთხშაფათის სალამოზე, ცივს ქარიანს დროს, მივიდოდა და მიეშურებოდა: დროით მივიდე ჩემს სახლშიო, მაგრამ ღამემ უსწრა, ამ დროს მგლებმა ღმუილი დაიწყეს ტყის პირში, იმ კაცმა თქო.—„თოფი მე არა მაქუს თან, დამბაჩა, ხმალი, არც ხანჯალი, ასე უიარაღოთ ჩემს დღეში არ მივლია, არ ვიცი, ეს დაუმენდილი მგლები შემამესვივნენ, რით მოვიგერო ეს შეჩვე-

ნებულები; ისევ სიფრთხილეს თავი არ ასცდება, სჯობია ამ სოფელში შევიდე აქ დავრჩე ამ ღამეს, ჩემ ნათლის მამასთანაო.» ეს სთქვა და სოფელში შევიდა. სოფელში ნახა, გოგობიჭებს ჭიაკოკოლა დაენთოთ, ზედ მახილო სიცილით ხტებოდნენ, მითამ კუდიანი აღარ მიუდგებოდა ვინც ჭიაკოკოლაზე გადახტებოდა. ასე გასინჯეთ ზოგიერთმა უფროსმა კაცებმა და დედაკაცებმაც გადახტომა დაიწყეს.

ამ კაცმა ამათ ყური არ ათხოვა, გაიარა, თავის ნათლიმამასთან შევიდა დარბაზში, მარამ ამ დროს ამის ნათლიდედა ბანზე იდგა, დიას გაჯავრებული, ვინც ჭიაკოკოლაზე ხტებოდა, ეს აქ სწყრებოდა ასპიცსავით.

იმ დროს იმ კაცს, თავის ნათლიმამა შინ არ დახვდა, მიიხედა მოიხედა რომ ვერავინ ვერა ნახა გამოვიდა, ყვირილი შექნა. «ნათლიმამ, ნათლიდედ: ბიჭებო, ჩემო ნათლულებო, სადახართ?— ეს თქუენი სახლი, რომ აიკლონ ვერას გაიგებთ.»

ეს კმა, ამ კაცის ნათლისდედამ გაიგო, იცნა ის კმა, მაშინვე გამოცრიალდა, ხნიდგან ქვემოთ ჩამოვიდა და საჩქაროდ სახლში შევიდა, ამ სიტყვთ:

—«ქა! გენაცვალოს შენი ნათლიდედა ნათლია-დავითას; შეგაცხრავათ დაგრჩი, ეს რაღაც ჭიაკო-

კოკოლა მოუგონიათ სულელებს, ზედ სცვიან ბრიო-უკები, ასე ჰგონიათ კუდიანი ველარას ავნებდეს იმათ.—

—შენ რა გრჯის ნათლიდედ. ნათლიამ უკმა-ყოფილოდ უთხრა.

—ჰა! ვენაცვალე.

—არა,არა ვენაცვალე; უნდა ამილამ კუდიანები შეიკრან და ბურთსაბმელზე ველარ წავი-დნენ.

—არა თქუენმა მზემ, ეს ჭიაკოკოლა კუ-დიანებს ვერას დაუშლის.

ამ სიტყვაზე, ნათლია როგორღაც ეჭუში შე-ვიდა და მასუკან გარდუსხვაფერა.

—მაგას თავი დავანებოთ, ერთი ეს მითხარ, ან ჩემი ნათლიმამა სად არის, და ან ჩემი ნათ-ლულები?

—ჰა, ვენაცვალე, დიდი ხანია თავის და არ ენახა თქუენს ნათლიმამას, იქ სანახავად გავის-ტუმრე, თქუენი ნათლულებიც იმას გავატანე; ამ-დენი ხნის უნახავს, იამებოდა იმათი ნახვა.

—როსნივ იქ წავიდნენ?

—იქ წავიდნენ ვენაცვალოს ნათლიდედა.

—შენ მარტო დარჩი?

—რა მიშავს, ბევრჯერ დავრჩომილვარ მარტო.

ყმაწვილმა უფრო ყელში მოუჭირა ნათლიას.

იმ ღამეს კარგი ვახშამი მიართვა ნათლიდედამ ნათლიას. ლობიო, ზეთით ფლავი გაუკეთა ვახშმად; სუფრაზედაც ქინქლაზეც, ჯონჯოლი მიართო, ნახევარი თუნგი წითელი ღვინო გვერდზე მოუდგა და ნათლიაც კარგათ შეექცა იმ ვახშამს. ვახშმის შემდეგ იქვე ცეცხლის მახლობლად ქვეშსაგები გაუშლევინა ნათლიდედას, ნათლია დავითამ, რომელმაც ჩაწვა, მაგრამ ტანისამოსი არ გაიხადა, ისე წაიხურა საბანი. ნათლიდედამ უთხრა.

— ვენაცვალოს შენი ნათლიდედა, ტანისამოსს გაიხდა რატომ არ ინებე?

— მეჩქარება, რომ გავიხადო, სწორედ ადრიან მინდა წავიდე შინათკენ, რომ ისევ გვეშინება შენ. ესა სთქვა და თავზე საბანი წაიხურა.

ამ საბან წახურულმა ნათლია დავითამ თქვა, ეს ყოვლადაც ჩემი ნათლიდედა კუდიანსა გავს, მე არ დავიძინებ, ვნახოთ რა იქნებაო.

ეს სთქვა, საბნიდგან ყაიმოჩხირვა დაუწყო ნათლიდედას და მცირე ხანს უკან ხვრინვაც ამოუშო ტყუილად.

ნათლიდედამ ამის ხვრინვა რომ გაიგონა, დიას ფრთხილად სანთელი გააქრო, ცეცხლის მუგუზლები ნაცარში ჩაფლა; კარის მერმეც, რაღაც

ამოთხარა და იქიდგან პოცხელის ქვით დასუფრავე-ლი კოჭობი ამოიღო და დარბაზის კუთხისაკენ წაიღო.

ეს ღამე დიდ ნათელი ღამე იყო და ბანიდგან სხივნი სინათლე ანათებდა იმ დარბაზსა.

იმ კუთხიდგან იმ დედაკაცმა, გოდორიდგან კოცა გამოიტანა, რომელიცა გადაფარა ზედა და მარცხნის ხელით მაგრა დაიჭირა. მარჯვენის ხელითაც კოჭობის პირი გახსნა, საიდგანაც რაღაც ამოიღო ხელით და ფეხებზე მოისვა კარგად. ამასთანავე კოცაზე გადამჯდარი, დარბაზის ბანში ავარდა და მან იქის სიოთკენ გადიკარგა.

ამ ამბავს, ამ დედაკაცისას თვალით უყურებდა ამის ნათლია დავით და გაოცებული გამოჭყურებდა საბნიდგან. ჯერ პირჯვარი იწერა: მოდი წამოვდგეო, გავიგებ რასა შვრებიო. მაგრამ ბოლოსა სთქვა: არა, კიდევ მოვიცდი, ვნახოთ რა იქნება! ამ ფიქრში, დედაკაცი ბანში ავარდა კიდეც, ის რომ ბანში ავარდა, ეს ზეზე წამოხტა; პირჯვრის წერას მოჰყვა და ამას ამბობდა: დამწყევლოს ღმერთმა ეშმაკი, დაწყევლოს... რამდენჯერმე ამ სიტყვით დაიმშვიდა გული, ბოლოს ის კოჭობი მოიტანა კერასთან, იქ მახლობლად დადგა და მერე სანთელი აანთო.

კოშკობში ჩაიხედა: კუპრსავით შედედებული დაინახა შავად და სთქვა: ნეტა რა უნდა იყოს ეს კუპრისავით შედედებული შავი? ეს რომ სთქვა კოშკობში ჴელი ჩაყო; ოთხი თითით ის შავი შედედებული ამოიღო სანახავათ; დახედვისთანავე დაიძახა. კუდიანების კვინცილას რომ იტყვიან, სწორედ ეს ის უნდა იყოსო. ოჰ, ღმერთო დამიფარე ეშმაკებისაგან. ეს სთქვა, ქალმიანის ფეხებზე და მალვარზე გაიწმინდა ჴელი, მარამ მაშინვე ცოკვა მექნა, ლამოდა ჰაერში აფრენას, ამ დროს იმის მახლობლად, ერთი დიდი ცოცხი იდო, იმას წამოავლო შიშით ჴელი, უნდოდა იმით მოეწმინდა კვინცილა. ამ დროს ის ცოცხი ლაჯებში მოუჯდა ნათლის დავითს და მაშინვე აიტაცა ბანში.

ნათლის დავითამ ნახა, მაღლა ჰაერში მიფრინავს კავკაზის ბურთისაბმლის მხრისაკენ, ასე სწრაფად; ვერა ფრინველი ისე სწრაფად ვერ გაფრინდება. რამდენიმე მთა რომ გადაფრინდა, ტფილისის ქალაქზე გადმოვიდა, სადაც ევრეისავე ჭია-კოკოლაზე ხტებოდნენ სალხნი და მცხოვრებნი თოფს ისროდნენ მაღლა ჰაერში: კუდიანებს ტყვას მოვახვედრებთო, მარამ უჩვენებულებს, რა მოხვდებოდათ?

ნათლის დავითა ქ. ტფილისს რომ გასცილდა,

ეს მაღალი ჭაერი ნახა მორთული იყო, საქართველოს კუდიანებით, კატით და დედაკაცით: ზოგი ძაღლზე იჯდა, ზოგი ლორზე, ზოგი კატაზე, ზოგი მამლის ქათამზე, ზოგი მოკაკულ ჯოხზე და სხვა და სხვის რაღაც სასაცილოებზედ ისხდნენ, თავთავისად ყველანი.

ესენი სულ დარაზმული წყობით მიდიოდნენ, რომელთაცა უფროსები, ერთი მელაზე იჯდა, მეორე ცხვარზე, მესამე მგელზე, მეოთხე დათვზე, მეხუთე გარეულ თხაზე და მეექვსე აფთარზე. ვინც შემჩნევა იცოდა და სახის მეტყველობის გაუჩხრეკდა, ამ უფროსებს სახე, რომელიც თავის ნადირებს უგავდათ და ხასიათიც ეგრეთვე. თუმცა ეს უფროსები, პირით ერთი ერთმანეთთან, დიას მეგობრულად იყვნენ, მაგრამ დიდათ ეჯავრებოდათ ერთი ერთმანეთი და ერთმანეთის სიძულვილს გულში იკლავდნენ დიდის მოთმინებით.

ეს ამდენი კუდიანები მივიდნენ და ბუროსამელაზე ჩამოსხდნენ; ვისაც სულიერი საჯდომები ჰყავანდათ დააბეს და ვისაც უმრავი, ხელში ეჭირათ.

ეს დიდის ხალხში გაერია. რავდენი დედაკაცი და კაცი ნახა მცნობი და ნათესავი, მაგრამ არავინ ხმას არ სცემდნენ ერთმანეთს. ამ დიდის სიარულში, თავისი ნათლიდედა შეხვდა, დანახვისთანავე

ცალკე გაიყვანა და გაჯავრებულმა უთხრა.

— მე მყის დასაცემო, რაგინდა მქნ აქა?

— ღმერთმა ნუ იცის შენი თავი და ცანი, მე შეჩვენებულო, მე სულ გიყურებდი, ის კვინცი-ლა მეც უნებურად მოვისვი და უკან გამოვიდევ მწრაფად.

— მითხარი; განდა ჩუენს საზოგადოებაში გაერია და ჩუენი ამხანაგი შეიქნა?

— ჯერ მიამბე რა არის თქუენი საზოგადო-ება და ან რა სარგებლობა შეუძლიან?

— ჩუენი ქელობა არის: სიბლუქე, სიცრუე, ცბიერობა, მოტყუება, ბოროტება და ფარულად ვსცდილობთ სხვებსაც ეს ვასწავლოთ, რომ კე-თილი არსად აღარ იყოს, გარყვნილობის მეტი.

— შე ღუთის პირისაგან წყეულო: ის არა სჯობია კეთილი იყოს ყველგან?

— რას ამბობ შე გამომცერებულო დავითავ, სიბლუქით, სიცრუით, ცბიერობით და გარყვნი-ლობით ყოველთვის სიხარულში და დღესასწაულშია კაცი და გულიც გამოულეველი აქუს, მარა კეთი-ლი უძრავს მოხუცებულსა გავს, რომლისაგანაც არაფრისთანა ნაყოფი არა იქნება იმისაგან.

— ოჰ! შეჩვენებულო! — შეა გულს ჯოჯო-ხეთში ჩავაგდებენ.

— არა, ვინც ჩუენს დასში არიან, იმათ არ ჩააგდებენ, იმათ სხვისა და სხვის შესაქცევით შექცევენ საქიოს. ეგ, რომ გაგიგონია, ვინც ჩვენს დასში არ არიან, იმათ ჩაჰყრიან ჯოჯოხეთის ცეცხლში.

ეს რომ სთქვა, ამ დროს ერთი საშინელი გრგვინვა მოისმა; დავითამ ჰკითხა — ეს რა ხმია-ნობა იყოვო?

ლედაკეცმა მიუგო. — აგერ იმ დიდს ჯურღ-მულს ხედავ? იქიდგან არის ეს ხმიანობა; ცოტა მოიცადე, შენის თვალით ნახავ რაც იქნებაო; ეს სთქვა და სიჩქარით სალხში გავიდა. ამასთან მე-ორე უძლიერესი გრგვინვა ამოვიდა იმ ჯურღმუ-ლიდამ, მესამეც თან დაჰყვა და ამასთანავე რაღა-მაც ლურჯმა სინათლემ ამოანათა ლილის ფერმა.

ამაზედ ვინც იქ იყვნენ, ყველას თვალი იქით-კენ დარჩათ გაოცებულებს, საიდგანაც ის ძლიერი გრგვინვა ამოდიოდა და ლურჯის ფერი სინათლე:

მაგიერნი ხანი ალარა გამოვიდარა, რამდენიმე ეშმაკების დასნი ამოვიდნენ იმ ჯურღმულიდგან, საარაკო დიდრონი ქვაბები ამოიტანეს ურს შემო-ხვეულით: ზოგი ოქროსი და ზოგი ვერცხლისა; მოიტანეს და ერთს გორას წინ გაამწკრივეს ერთი ერთმანეთზე ცოტა მოშორებით. ის ლურჯის

ფერი სინათლე იმ დიდრონის ქვაბებიდგან ამო-დიოდა, რომელიცა იმათი მაღალი ალი უმაღლე-სად ჰაერსა წვდებოდა და იმის გარეშემო მიდამო-არე, სრულიად ლურჯის ფერად ლაპლაპებდა.

მე იმ გამავტყავებულთ და დიდრონ კუდიანე-ბის სახეს და ტანადობას არას აღვსწერ ეშ-მაკებისას, ამისთჳს რომ ყველას ენახება, ის უმს-გავსო დახატული ეშმაკები და ნახშირსავით შავნი, მაშა სადამე იმათი თვალტანადობა იქით გადავდოთ და სხუას ვიტყოდეთ.

ამ დასიდგან რამდენიმე ეშმაკები გამოვიდნენ, ამ საქართველოს კუდიანებში შემოვიდნენ და თა-ვისი ადრინდელი მცნობები ნახეს ყველანი სიამო-ვნით. მცირეს ხანს უკან ამ დავითის ნათლიდე-დამ ერთი ეშმაკი მოიყვანა დავითასთან ამ სი-ტყვით.

—ჩემო მწყალობელო, ჯოჯოხეთის ჴელმ-წიფის ტარტაროზის, მზარეულთ უხუცესო ზან-დარ! ეს გახლავთ ჩემი შვილების მომნათლავი დავითა, ამასა სურს ჩუენს დასში გარევა: მაგრამ ეშინიან წავწყმდებიო და ჯოჯოხეთში ჩამაგდე-ბენო.

ამ სიტყვაზე დავითამ თვალი გაუმართა მზა-რეულთ უხუცესს ზანდარს, მეტად ეზიზღა, მაგრამ

მოთმინებას მისცა.

ზანდარმა სიამოვნით შემოხედა დავითას და მასუკან ბოხის ხმით უთხრა.

— არა დავითავ, ნუ გეშინიან, შენ მართალს კაცსა გევხარ, შენ კარგს წილკოცში შეგიყვანთ და შენი შესაქცევი ის იქნება, ოლონდ ჩუენს დასში გაერიეთ. დავითამ თავი დაუკრა, მარამ ხმა არ გასცა. პაცარასანი უკან, რამდენიმე ეშმაკები მოვიდნენ ამათთან, ერთი ერთმანერთზედ საზარლები და ზანდარს ჰკითხეს.

— მზარეულთ უხუცესო ზანდარ, ეს დედაკაცი და ან ეს კაცი ვინ არიან?

— ეს დედაკაცი ჩემი კარგი მცნობია, რომელსაც ეს პაცოსანი კაცი მოუბირებია და ჩუენი ჭერში შექნილა.

იმათ ერთ პირათ დიდი მადლობა უთხრეს ამ დედაკაცს და მასუკან ზანდარს სთხოვეს. — ჩუენც გაგვაცანი ამ პაცოსანს დედაკაცსაო.

ზანდარს დედაკაცისაკენ. — ეს გახლავთ ჯოჯოხეთის მსაჯულების თავი ვაშა, ეს გახლავთ ჯოჯოხეთის კარების მცველების თავი ხაბუშეეი, ეს გახლავთ ჯოჯოხეთის წესის დამცველი მერალია, ეს გახლავთ მესუფრეთ თავი პარია, ეს გახლავსთ ჯოჯოხეთის საკრავების დამკვრელების

თავი სრულყოფნა, ეს გახლავთ ჩვენი საზანდარი ფსომხის, ეს გახლავთ სალაროთ უხუცესი კრეფია, ეს გახლავთ მგალობელთა თავი ცესია. რაღა გავაგრძელო ყველანი თავთავისად გაცნა და დედაკაცი დიდი კმაყოფილი დარჩა იმათის გაცნობით. ბოლოს დედაკაცმა ჰკითხა ზანდარს.

— ის დიდროონი ანთებული ქვაბები რო ამოიცანეთ, იმისი ალი არა გწვამს თქვენ?

ზანდარმა მიუგო.

— როდესაც ჩვენ იმის ალში ვიმყოფებით, მაშინ სრულს განცხრომაში ვართ ხოლმე. ის ალი მხოლოდ იმათ სულსა სტანჯავს სიკუდილის შემდეგ, რომელიც ჩვენ მხარე არ შეიქნება.

ამ სიტყვაზედ დედაკაცმა უთხრა დავითას.

— გესმის დავითაგ? — დავითამ კიდევ თავი დაუკრა, მაგრამ თავის გულში იფიქრა: თურმე ეს საცოდავი ჩვენი წყეული ხალხი, ამ ეშმა-კებისაგან, ასე მოტყუებულნი ყოფილან. საიქიო-ოდგან ხომ არავინ არ მოსულა, სწორეთ ანბა-ვი ვიცოდეთ რამე. მხოლოდ ეს ვიცით, რომ ჭეშმარიტი სარწმუნოება ქრისტიანობრისა დაგვარ-წმუნებს: ცუდის საქმით საიქიოს წაწყმედებითო. სწორეთ ვიტყვი ამ უკანასკნელზე მტკიცე ვარ და ნამდვილათაც მჯერა. ეს შეჩვენებულებიკი

თურმე აქე გვაცდუნებენ. თავის გულში ლვითამ რომ ეს დასრულა, იმ ჯურღმულიდამ კვალად გრგვინვის ხმა ამოვიდა პირველზე უფრო საზა-რელი; ამ საზარელის ხმაზედ, რაც ეშმაკნი იყვ-ნენ, სულ იმ გორს აქეთ იქით გვერდებზედ და-უდგნენ ქვეით დაბლა, თავთავისად დაწყობილნი დასდასად. რომ აქე გაიმართნენ, მერე გრგვინვა-მაც დაიგრიალა იმ ჯურღმულიდამ და მცირეს ხანს უკან მესამემაც. ამასთან ერთი ეშმაკთ დასი ამოვიდა, რომელთაც თვითეული ფრთეულს ეშმაკს თვით ოქროსი და ვერცხლის ქვაბები, ცხვები და და სხვა და სხვა საჭმლის მოსასხმები ეჭირათ ერთი ერთმანერთის მომდევნო; იმათ მიჰყვება მზა-რეულთ უხუცესი ზანდარა, წაიყვანა და ერთს ქვე-დის ძირში დაჰყენა მწკრივათ. ამასთანავე სხვა ერთი დიდი დასი ამოვიდა მათ უკან, რომელთაც ოქროსი და ვერცხლის თვით ფუთი ეჭირათ და-კეცილი. იმათ წინ მიჰყვება ხაზინადარი ფისოჭით მოიყვანა და ეს ფუთები, სულ ერთიან გასათვალებულს გორის წინ დააწყობინა. მერმე ეშმაკთ დასთა თა-ცხოველის მოქნილი ცხენები სხვა და სხვა ფე-რად შეკაზმული მათი ცხენისმოსხმები ამოიყვანეს, საკვირველი ძვირფასის თვლებით შემკობილი, ჯ-ასეთის თვლებით, რომ ავის არ უნახავ იმისთანა

მჰრფასი თვალები და არც ქვეყანაზედ იქნება ოდეს-
სმე. რომელთაცა ამათ მიეცემა სალაროთ უსუცესო-
კრეფია, მოიყვანა სპილოსძვლის ყუთების უკან გაამ-
წკრია. მესამე ეშმაკთ დასთა დიდროანი რკინის
კლიტეები და დიდროანი რკინის ფასალეშები ამოი-
ტანეს, ამათ წინ მიეცემა ჯოჯოხეთის
კარებების მცველის თავი ხაბუქი; მოიყვანა და
ყორის უკან გაამწკრია. ამათ მოჰყვა მეოთხე
ეშმაკთ დასი, რომელთაცა დიდრონი შავი კეტები
და დიდრონი შავი მათრახები ხელში ეჭირათ,
ამათ მიეცემა ჯოჯოხეთის წესის დამცველი მე-
რაქოი; მოიყვანა და ესენიც კართა მცველების
უკან დააყენა. ბოლოსა ამათ მოჰყვა, მეხუთე ეშ-
მაკთა დასი, მათ ხელში ეჭირათ დიდრონი და-
კეცილი შავი ტყავები, ამათი ფერი იყო, საკვირ-
ველი ბრწყინვალე დიდი ალმასებისა: ასეთი ალმა-
სებისა, რომ იმათ გამოკრთომილს ბრწყინვალებას
ადამიანი თვალს ვერ გაუმართავდა რიგიანათ,
რომელთაცა ამ დასს მიეცემა მესუფრეთ თავი
ზაროა, ამოიყვანა და წესის დამცველების უკან
დააყენა. მცირეს ხანს უკან, ერთი რაღაც საშინე-
ლი ღრიალი, შასილი, ყვირილი და უცნაური ხმია-
ნობა ამოვიდა ჯურღმულიდგან, ამ ხმასთანავე
ერთი ეშმაკის დასი ამოვიდა გუნდგუნდებით

დაწყობილნი, თვით ეშმაკს დიდრონი და მჯრდა-სის თვალ მარგალიტით მოჭედილი საკრავები მოეყუდათ პირზე, სხუა და სხუა უცხაური სახისა და უკრავდნენ საზარელსა რაღაც ხმასა, რომელთა-ცა ამათ მოსდევდა სხუა ერთი დასი და დაღრე-ნილის პირებიდგან ჰყვიროდნენ რაღასაც ხმებს საშიშარსა. ამ რიგ დასს მოსდევდნენ სრუცუნა და ცუხია, წაიყვანეს და ერის დიდს მაღალს ბორცუ-ზედ დააყენეს, საიდგანაც გამოსცემოდა, იმ მო-საკრავეთა და იმ მგალობელთაგან, ზარ ასცემილი ხმები უსაზარელესი! მცირეს ხანს უკან, ერთი მცირედი დასი ამოვიდა იმ ჯურღმულიდგანვე, რომელთაცა თვითეულად ქელში ეჭირათ დიდრონი საწერლები და კალმები იგუნდისა; იმათ მიეგება მსაჯულების თავი ვეშა, მოიყვანა და განათლე-ბულს გორას აქეთ იქით გვერდებზე დააყენა ეს დასი. ამის შემდეგ მაგიერნი ხანი აღარ გამოსუ-ლარა, თორემ ცემა ეშმაკმა ერთი დიდი სავარძელი სკამი ამოიტანეს, სრულიად მჯრფასის თვლებით შემზადებული, მოიტანეს და იმ განათლებულს გორის თავზე დადგეს, რომელიც სრულიად ბჭყვრიალი დაიწყო სხუა და სხუა ფერად. ამასთან ოც და ოთხნი ეშმაკნი ამოვიდნენ სამსამი ერთად და მოწიწებით მოდიოდნენ. ამათ უკან მოსდევდა

მოშორებით ერთი კუპრსავით შავი საზარელი რა-ღაც ცხოველი: თავი ჰქონდა დიდი, ყურები სახედრის, შავი დიდრონი თვალები გაჭყიტა საშიშრად, სახე ჰქონდა მეტად განიერი და დამრგვალებული, ცხვირი გაბუყუჟულსავით გადღვრენილი, ტუჩები მსხვილი პრომიანი და გრძელი კბილები გარეთ გამოყურა დაღრენილი.

ამ ცხოველს ექნებოდა ექვსი ადლი სიმაღლე, ქელები ჰქონდა თავის მქისეგერი და ბოჩხილები თითო მტკაველი; ფეხები თავის ტოტებს მიემგვანებოდა, რომელიც წყნარის ნაბიჯით მოდიოდა, აქეთ იქით იხედებოდა თვალების ბრიალით.

ტანზედ ესხა ამ ცხოველს, შავი ტყავის ტყალობა, საკვრველი მგიროვასის თვლებით შემკობილი: ანგარების გონების მომტაცებელი და ჭკუის გადამრეველი.

ეს ცხოველი წინ წამომდგარი რო დაინახეს, ყველანი იქვე დაეცნენ და მიწოლით თაყვანი სცეს; ისიც შედგა და თვალები გარდამოანათა ამ მეყრილობას.

ლეთის უსიამოვნოს ამ ანბავს სჭიროდა დავითა: ხან საკვრველებით, ხან მწუხარე და ხან დიდის ზიზღით. ამ დროს ერთი მშვენიერი თეთრ ბრწყინვალე ტანისამოსიანი ყმაწვილი კაცი მოვიდა

დავითისთან და ალერსით უთხრა.

—დავითას გავიმარჯოს. დავითავ! რას გამ-ცეროებულხარ?—გონებაზედ მოდი მართალო დავი-თავ. ეგენი სულ მოჩვენება არის მაგ წყეულე-ბისაგან.

დავითამ მოხედა, მეტად მოიწონა ეს მშვენი-ერი უმაწვილი კაცი და გაკვირვებით უთხრა.

—ოჰ! პატიოსანო უმაწვილო კაცო! ეს რა ამბავია! რასა გხედავ ამაებსა!

—დავითავ, მამეევ, მე გაჩვენებ ამათ ეშმა-კურს საქმეებს.

—ამ წყეულს ეშმაკებს სად დავეხწევით, რომ ამთენს მყურილობაში დავიაროთ?

—ნუ გეშინიან, შენ მე მამეევ, ესენი ჩვენ ვერ დაგვინახვენ, ასე გავივლით.

—მითხარ, თქვენ ვინა ბძანდებით?

—ლაპარაკის დრო არ არის, მამეევ ჩქარა.

ამ სიტყვასთან, ჴელი დაუჭირა დავითას და სწრაფად წაიყვანა. ასე გატარ გამოატარა ამთენს ეშმაკებში, რომ არავის არ დაუნახამს და არც არა-ვის შესჯახებიან. მიიყვანა სადაც დიდი სავარძელი იდგა, იმაში შევიდნენ და შიგ დასხდნენ თავისუფ-ლად, საიდგანაც ყველას ხედავდნენ თვალები და ყო-ველი იმათი ლაპარაკი ყურით ესმოდათ.

—ეს სავარძელი, იმ საზიზღარ ცხოველის საჯდომია, რომლის წინაშე დამხობილ არიან დედამიწაზე ყველანი. დავითს უთხრა იმ ყმაწვილმა კაცმა.

—ნეტა ვინ უნდა იყოს ეს საზიზღარი ვიღაც? დავითამ ჰკითხა.

—ჯოჯოხეთის უფროსი და ყოველთ ეშმაკე-ბის მმარებელი, რომელსაცა ჰქვიან ცარცაროზი?
ამ ანბავში იმ მოსაკრავეთა და მეალობელთა გაწყვიტეს ხმა, და ეს ყრილობაც ადგნენ ზეზე, რომელთაცა განკრძალულებით დაუწყეს მდრეკა ამ საზიზღარს ცხოველსა.

—მშვდობა თქუენთანა. გრგვინვის ხმაზედ გარდმოსძახა ცარცაროზმა საქართველოს კუდი-ანებს. ამათაც მოწიწებით თაყვანისცეს დაბლა.

—დღეს სწორედ წელიწადი შესრულდა, აღარ მინახვიხართ, აბა წამოდექით და ვინც უფროსები იყვნეთ, ანგარიში მომეცით, ვის რავდენი შეგი-მინიათ ჩემთჳს, რომ საიქიოს დიდი ჯილდო მოგეცეთ ჩემგნით და აუარებელის სიმ-დიდრით აგავსოთ. ამ სიტყვასთან იმ ოქროს ყუთებიდგან წამოყარეს ეშმაკებმა აუარებელი ოქრო და ვერცხლი; გასაოცრებელი თვალმარ-გალიტები, რომ არავის უნახამს და არც იქნება

ოდესმე ქჳეყანაზედ.

—ვინც მე კარგათ მემსახურება, ცარცაროზმა თქო, ასი ათასი გამოულეველი დიდრონი მადნები მაქვს, ამისთანა სიმდიდრე საიქიოს აბა ვინც ჩემი ერთგული იქნებით და როდესაც საიქიოს მოსვალთ, დიდრონს ქალაქებს გაჩუქებთ და ყოვლის სიმდიდრით აგავსებთ. ახლა წამოდექით და ყველამ თავისავისი მითხარით, ვინ როგორ ანგარიშს მომცემს?—ამასთან მივიდა და სავარძელზე დაჯდა.

მელაზე რომ იჯდა, ის წადგა; დამხობით თაყვანისცა და მასუკან მოახსენა.

—გავლილის წელიწადების ხომ მოგეხსენებათ რა ერთი მყავს შემინებული?

—დიახ, ვიცი, ჩემო ერთგულო და ქვებუდანო მელიავ, აბა ახლა წრყვანდელისა მიამბე, რა ერთი შეიმინე?—

წელსაც შევიმინე ათას შჳდასი.

ამ სიტყვაზედ კიხალამ გასქდა სიხარულით ცარცაროზი.

—ქვებუდანო მელიავ დიდად, დიდად გმადლობ,—გმადლობ ქვებუდანო!

მელიამ თავის ანგარიში, რომ გაათავა, ცურა-ზე მჯდომი წადგა და ერთისავე ძრწოლით

მოახსენა.

—მეც, შევიძინე, ექვსი სამი.

—ოჰ, გმადლობ ცურიკო, მარამ ჩემი მელოიასთანა არ იქნება არავინ.

მესამეც წადგა მგელზე მჯდომი და მოახსენა.

—ბატონო ჩემო ხელმწიფევ! ჯერკი არ დამითვლია, მეც შევიძინე ლამაზი ქალები თქვენი სასიამოვნო.

—გმადლობ, გმადლობ ჩემო მგელიავ, მართლა რა კარგი რამა ხარ.

ახლა ცხენზე რო იჯდა ის წადგა.

—მე შევიძინე, მჯდი ზრიევი კაცი.

—ეგ სულ არაფერია ცხენავ.

მასუკან წადგა აფთარი.

—მეც შევიძინე, ცხრა თავხედი კაცი.

—ეგეც ფუჭი საქმეა აფთარო. ამ ამბავში, მსაჯულის თავი უკან იდგა და სიას სწერდა, ვინ რავდენი შეეძინა.

ბოლოს წადგა დათვზე მჯდომი და დალონებით მოახსენა.

—მე ვერავინ შევიძინე ცარცაროზო.

ცარცაროზმა თვალები გადმოუბრიალა მრისხანებით და ჰკითხა.—რატომ დათუნავ?

—ყველანი ამას მეუბნებიან, შენ ლოიალის

და ქვრილის შვილი არა სარო, ამისთვის არავინ არ შენდობა, არავერში.

ცარცაროზი ალმურით აენთო; გაჯავრებულმა მეჯლისე ეშმაკებს დაუძახა, მოაყენა და ცემა დაუწყეს საცოდავს დათუნას, რომ იმისი ღრიალით ის მთები აივსო.

ამ ანგარიშებს, რომ მორჩნენ, ცარცაროზმა ბძანა.

— თქვენ ექვსი იმისთვის ამოგარჩიეთ უფროსებათ რომ ეცადნეთ ბევრის შეძინებას, თორემ თუ ამის იქით ასე არ იქნა, ჩემს რისხვას მიიღებთ თქვენ უფროსები, ამას იქით გაფრთხილდით, აღარ გამაჯავროთ.

კიდევ მუხლაზე მჯდომი წადგა და დაწყნარებით მოახსენა.

— ჩემო ბატონო, ჩემო ხელმწიფევ! რად სწყრებით მაგაზედ, დის ბევრნი გასწავლან საქართველოს ხალხნი ღმერთკაცნი და კაცნი ჩვენნი კვრძხა.

— მერე აქ არიან ისინი სულ?

— დიახ, შენი ბიძრიმე აქ გახლავან.

ცარცაროზმა თვალი გარდაავლო მეფრინობას, ქალისას და კაცისას, რომელსაცა დიდად იამა და ღიმილით უქნა მერიალის ჰირით. მერე ჰკითხა.

—ეს დიახ კარგი; მარამ მონასტრებში და უდაბნოებში ბერები რომ არიან, ისინი ვერ მოიბირე?

—ბერები და მოლოზნებიც სულ ავრიე; ჯერ ერთმანერთში, დიდი უთანხმოება და შფოთები ჩამოუგდე, ახლა იმასა ვსცდილობ, რომ ჩუენი ბერძნი შეიქნენ და აქ გასლონ თქუენ წინარე ეშმაკნი. საქართველოს საქმე ახლა ისეა: როგორიც ბერიო იმისთანა ერიო, ახლა ეშმაკის შვილები საქართველოში, როგორც გვინდა ისე ტარტაროზო!

—დიდად ცმადლობ ქვებულანო მელიავ, ეცადე თუ საიქიოს შენი თავის ბედნიერება გინდა, ეცადე.

მელიამ დაბლა თაყვანისცა და თავის ამხანაგებში ჩადგა შუაში.

ამ მელიას ამხანაგებს დიდათ შეშურდათ მელიასაგან ეს ამბავი; იქვე შეითქუნენ მელიაზე: უთუოთ თავის ადგილიდგან გადმოვაგდოთ და წარვასდინოთ, თორემ ყოველი ჩუენი გზა მაგან დაგვიხშა ტარტაროზთანა.

ამის შემდეგ ყველა დალოცა ტარტაროზმა და მასუკან ნება მისცა, თავთავის სახლებში წასულ იყვნენ სულ ერთიან.

მცირე ხანს უკან აღარავინ აღარ იყო საქარ-

თველოს კუდიანები ბურთ საბმელზე. თავთავის ცხაზე გაიფანცხნენ ქველანი.

ამ კუდიანების წასვლასთანავე, ცარცაროზმა და სხუა ეშმაკებმა, შექნეს უცნაური კასკასი და სიცილი და თან ანბობდნენ.

„დაგიდევთ თვალი საქართველოს კუდიანებო, ვინც თქუენგანი მოკვდება, ასეთს ჯოჯოხეთის ჯურღმულში ჩავაგდებთ, რომ მართლა საშინელებაში! მოუწყუველით, რა გვენაღვლება, თუ საქართველოს კუდიანები არ იქნენ, ჩუენს ჯოჯოხეთს ბევრი დააკლდება; გამარჯვებით საქართველოს კუდიანებო, გამარჯვებით!»

ასე ანბობდნენ და ასე იმასხდნენ ბურთსაბმელზე ეშმაკები სიცილით.

ამ ამბავს თვალით სჭვრეტდა დავითი და ყურით ესმოდა ყოველი, მასუკან იმ მშვენიერმა ყმაწვილმა კაცმა წაიყვანა კარგა მოშორებით და ერთს გორის ძირში დასო ამ სიტყვით.

—დავითავ, აქ ამ ადგილს მოიცადე, რას ნახავ შენის თვალით?

ამ სიტყვასთან გასწია და იმ გორს იქით გადავიდა; მცირეს ხანს უკან დავითმა შენიშნა რომ ამ გორის თავზე რაღაც ნათელი გაჩნდა, რომელშიაც თვით ის ყმაწვილი კაცი იდგა მრისხანედ და

ცეცხლის მათრახი მარჯვენეს ჴელში ეჭირა მოღერებული ეშმაკებისაკენ.

ეს რომ ეშმაკებმა დაინახეს, შიშის ზარმა აიტანა ყველანი, თავის ტყარტყარაზი ფეხ ქვეშ გაიტანეს და საშინელის ღრიალით ჩაცვივდნენ თავის ჯურღმულში: ისე სწრაფათ, რომ რაც ამოტანილი ჰქონდათ, სულ იქ დარჩათ.

ამისი მნახველი დავითი მივიდა, დედამიწამდინ თაყვანისცა და ახლოს მისვლა ვინც ბძანებოდა ის უმაწვლი კაცი.

უმაწვლმა კაცმა ზე ასწია დავითი ამ სიტყვით.

— მართალო დავითავ, წამოდი აქ, ქვემოთ დავსხდეთ და მცირედ ვისაუბროთ.

ამასობაში ზეცა განათლდა, ქვეყანას გადმოაფინა მცირე საამო დილის სინათლე, რომელნიცა გორიდეგან მირს ჩამოდგნენ და ქვე დასხდნენ დედამიწაზე.

— დავითავ, ხომ ნახე, როგორ ყოფილხართ მოტყუებული მაგ ეშმაკებისაგან? —

რასაკვირველია, ყველა ვნახე, მარამ ახლა ამას გევედრები, რაც გკითხოთ არ გეწყინოთ? —

— არა, არ მეწყინება, თქვ დავითავ.

— ადამიანებზე რად აძლევთ ავდენს უფლებას რომ ავდენს ცუდს გვაქნევინებენ ეშმაკები?

—ღმერთის მოუცია თქჳენთვს ცოდნა, ვინც ცოდნიერად მოიქცევა, იმას ეშმაკები ვერ მიუდგება და ვინც უცოდნურად, იმასკი შეიპყრობს. ასეა ნათქვამი: პირველი არის ცოდნიერება, მეორე სვინიდისით და მესამე ჭეშმარიტებით. ვისაც ესენი აქჳს, იმას არ მიუდგება ეშმაკებისა არაფერი. ესეები ხომ გითხარი, ახლა თქჳენი ივერიის ანბავი მიამბე რა ანბავია? რაც იმ მელაზე მჯდომმა უამბო ცარცაროზსა, მართალია თუ ტყუილი?

—ოჰ! რაღა მოგახსენო ჩჳენი ივერიის ანბავი! მოკლედ ვიტყჳ: ივერიაში ტრიალებს შავი მამაკვდინებელი ცოდვა, თავის საშინელის შტოებითა! გვაქჳსთ და გამოაქჳსთ ერთმანერთი გარყვნილებას და ქვეყანა ვეღარ იტყვს იმათ დაუნდობლობას. აი ეს გახლავთ ეს ანბავი ივერიისა.

—ოჰ! სოდომგომორი? მაშ წავალ, ღვთის ბძანებით ცეცხლს გავწვიმებ და მთელს ივერიას აღვსპობ მირიანათ.

—არა შენი ჭირიმე ნუ ინებებ, თუმცა ბევრნი არ არიან როგორიც ვსთქვ იმისთანანი, მარამ შიგა და შიგ მართალნი და კეთილნიც ურევიან.

—მადლობა შეჰწირეთ უფალსა, რომ იმის რისხვისაგან გამოიხსენით. მიუგო პასუხად დავითას, მაგრამ აბა ახლა წამოვდგეთ; აგერ ეშმაკების

სიმდიდრესთან მივიდეთ, ვნახოთ როგორი სიმდიდრეა?

მივიდნენ, ნახეს, ისეთი სიმდიდრე იყო, რომ ანგარიშს ცნობას მიუღებდა, არც გაგონილა და არც იქნება ოდესმე ქვეყანაზედ.

კარგა რომ გაჩხრიკეს, მასუკან იმ ყმაწვილმა უთხრა დავითს.

—კარგად გამცნევ, არაფრად არ მიგაჩნია ეს სიმდიდრე: ნეტავი შენ დავითავ! სასუფეველი მიგელის ცათა. აბა ახლა ნახავ რაც არის ეს სიმდიდრეებს რომ საქმეა ერთი ლოცვილი წამოვიდა—თან წვიმა მოჰყვა და ის სიმდიდრე სრულიად დანაცრდა.

დავითამ გაიკვირვა და კითხვა დაუწყო?
იმან მიუგო.

—ეს არის ჯოჯოხეთის ცეცხლის ნაცარი, იმათ კუპრის წყაროებში აზელილი; იმ ეშმაკების კლიტით გაკეთებული სხვა და სხვა გვარათ: ზოგი ვერცხლათ, ზოგი ოქროთ და ზოგი სხვა და სხვა ძვირფას თვლებათ. ეშმაკებს შეუძლიანთ ყოველი საქმე ცხადად მოაჩვენონ, მაგრამ როდესაც დამტკიცებაზე მივარდება, ის ამათი მოჩვენებული საქმე სულ ჩაიშლება და ამაოდ გაივლის; აი ეხლა, როგორც თვით თვალითა შენითა ნახე,

წყლის ეს ნაცარი რა იყო და ახლა რა არის? ყოველი ოქრო, ვერცხლი და ყოველი განძი, სული ადამიათის ნისათვის არის ბოძებული ღვთისგან, იმათ სასია- და იმათ ყმაყოფილებისათვის. მაგრამ ძნელი ეს არის, რომ ბოროტად ხმარობენ იმ ღვთის ბო-ძებულს ჯილდოს და არ იციან როგორ მოიხმა-რონ ის საუნჯე, როგორც წესია.»

—მაშ რა გგონება ანუ როგორ უნდა მოის-პოს ის იმდენი სოდომგომორის სცხოვრება სა-ქართველოში?

დავითამ კითხა იმ საკვირველს მალას.

—მითხარ, მოქადაგენი არიან, რომ შეუმა-რიცხვება უქადაგონ და კეთილი ასწავლონ?

—როგორ არ არიან. დიახ ბევრნი, მაგრამ სასაცილოთა ჰყავთ აგდებული ისინი, რომელთაცა ეძახიან იმათ: გიჟებით, სულელებით, თავხედებით-თავზურზულებით და სხვანი და სხვანი და სხვანი...

აქ სიტყვაზე მცირე დაფიქრდა ის საკვირველი მალი და მასუკან უთხრა.

—მე ეხლა ავალ მამისა ღვთის წინაშე, შვე-ლას მოვახსენებ და დიდს მოწყალებას მოგელო-დეთ იმისაგანთ უფლით; ეხლაც შენის გულის-თვის მოვედი ჩემო დავითაკ აქა. შენ რომ აქ შემეუდგებოდი, თორემ არ მოვიდოდი ამ წაწყმენ-

დილებში, ამ საიდუმლოების სახლში. ეს რომ სთქვა; ის თითონ ბრწყინვალე ცისისამოსიანი მალით მკვირდა და ტყორცილ ისარსავით წავიდა ზეცაში. მინამ თვალი სწვდებოდა, უყურა დავითამ, მასუკან თავი ჩალუნა დაღონებულმა და თავისთვის ამბობდა.—მე ხომ იმ კვინცილიანს ცოცხზედ ალარ გადავჯდები; თუნდ საუკუნოდ ამ მთაზე დავრჩე და აქ მოვკუდებოდე.

ამ ფიქრში რომ იყო, უეცრად უჩილავმა მალამ აიტაცა დავითა და ერთს წამში თავის სოფლის გვერდით გადასო უვნებლი.

თვალებზე ხელი მოისო დავითამ, ღმერთს მადლობა შესწირა და განკვირვებული წავიდა თავის სახლისაკენ!

შინ რომ მივიდა, თავის ცოლმა ჰკითხა.

— კაცო! აქამდისინ სად იყავ?

—ჩემს ნათლი დედასთანაო.

იმის მოკლე სიტყვაზე დედაკაცმა ალარა ჰკითხარა და დავითაც გაჩუმდა. ამასთან მოარაკემაც გათავა ეს არაკი.

კითხუა.—მერე პაპიტისანო მოხუცო კაცო?

—მერე შენი ჭირიმე ეს არაკი ასე დასრულდება, რომ ჭირი იმ ეშმაკების ჯურღმულში ჩავარდე და ლხინი აქ მოვიდეს.

თუ ეს არაკი ესოდენად კარგი იყოს, მადლობა უთხარით იმ მოხუცსა კაცსა, თუ არა და ღამე მეჯლიშისა, რადგან კარგა ღამეც გავიდა შუაღამეს იქით, და ვნახოთ ახლა სიზმარი რაღა იქნება?

ელათა მელათა მქიქა ეგვიდია ფვიდ ათა მოქმელოთა და გამოუწყებელთა მათი გვამის სულთა.

თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე. ორბელიანი.

---

## ყვავის ციხის მოთხრობა.

(რუსულითგან.)

ქედსა ზედა არა მომხრეებით ხმოვანის არაგვისა, მახლობლად ძველის მცხეთისა მდებარეობს ძველი შენობა, რომელსაცა უწოდებენ ამბით, ყვავის ციხედ. ყოველს მგზავრსა, თუ გარბის საჩქაროდ ფოსტის ტროიკით, თუ კარეტით, ანუ მიგორავს ჭრიჭინა ურმით, ცხენით მიმავალს, ანუ ქვეითს, გონია, რომ აგერ დაეცემა მას გორგა ქედის და ერთობ მოსპობს მას გზაში,—მაგრამ გადის წელიწადნი, კედლებზედ უფრო და უფრო

ეცემობა ხარღვევენ სივანეს, კედლებს ჩქვით ბალასს ვარდა, ჩნდებიან წვრილნი ფიჩხის ბუჩკნი; ვარნა ცისკე დგას ისევ, როგორათაც ყოფილა უწინ, იყურება უთვალო ყოველს მხარეს. — აბა იმ ადგილს იყოს არა თუ ცისკე, არამედ ბეცი — მას დავიწყებოდა ყოველი ზრუნვა, ისე კარგია ის ადგილი. გამოუნდება რა ყიზილბაშის მხარისაკენ (სამხრეთით) ყველაზედ უწინ დაინახავს წმინდას ეკლესიას მცხეთისას, სვეტიცხოვლისა მისა რომლისაცა იქვება ჯვარითი უფლისა, ხოლო უმთავს მისდაინ ხეობაში სჩანს ცდილისი; მიხედავ რა იმ მხარეს, სადაც არის რუსეთის სამითო, მას ეცემის მრთელი გროვა მაღალთა მთათა თოვლიანის სათავეთი და მას შორის, როგორათაც მამა მკლავის შვილებთა შორის სხვას ორმევარ მოხრილი ყაზბეგის მთა, დღისით ვერცხლისას ჰგავს, ხოლო საღამოზედ, როდესაც მზე გაათავებს დღიურს სამსახურს, მაშინ მოსასყენებლად და ღიხოებს მას, წითლდება და სჩანს როგორათაც მნათობარე რამ. — იმრევლად არიან მთანი აღმოცენებული იქ მდებარე მწვანე ტყით, ქვემო მდინარებს შუილით არავე და მცხეთამდი გროვის მტკვარს, მირბის ზღვამდე, ზემოთ ამ ჯვარისა როგორათაც ლურჯი ცა და მაზედ

ხსუა და ხსუა ფერნი ხსოვნი.—

ცყეულად იღიმება ცისა და ამ გაჯავრებულ-ლი ისქარის ყოვლის მხრიდგან, ამაზედ უკეთესს ადგილს ვერა ჰპოვებ მთელს ქვეყანაზედ: ვარნა გარემე მისსა არ იპოვება არცა ერთი ყვა; მაშა რაისათვის უწოდებენ ხალხნი მას ყვავისად? აი რაისათვის:

დიდის ხნიდგანვე მყვლს წყლოწადებში, რო-დესაც ჯერეთ ადამიანისს, არა თუ ეფიქრებინა-აღსრულება ცხოველისისა, არამედ მაშინ, როდესაც ჯე-რეთ იგი ქვეყანაზედაც არიყო; ყვავის ცისაზედ მდგარა ყარაული დასაცველად ავაზაკთაგან მცვ-ცვნელობისა. ხალხს, დასაცველად გზავნიდა მო-სეული და ძლიერი ხვმონ, (*) კაცი კეთილ სუ-ლიერი და უხვი, რომლისათვისაც შინა მოსამსა-ხურენი და ყოველნი გლეხნი მისის ვრცელის სა-მეპატრონოესანი მისა იყვნენ მეხვლად ცეცხლისა და წყალში.—იგი დრო, როდესაც მეჯდებოდა თა-ვადი ხვმონ თეთრს თოვლივით ცხენზედ, მშოს-ვილისა ვერცხლით და ოქროთი თვით მკვის ქუ-დით, მდიდრულის კაბით, მესასნედავი მოქუსდა

(*) გვარი ამ ხვმონისა არ ისწერია, მე დამავიწყდა, და როგორათაც მახსოვს იპოვება ქართლის ცხოვრებაში.

ჰაჰეულის სულმით და ცხროდნენ გრძელნი ულვა-შნი, გარნა თვით მას ჰქონდა სრულ კეთილი ფიქრები, მდაბლად თავს დაკვრაზედ შემომხვედრ-თა, ალერსიანი გაცინება და გულკეთილი მოკით-ხვა, ხოლო თვისი სახლის ყოველივე შემწეობა და ქაუახნური რჩევა; მიახლოვდებოდა რა თავადი სჳმონ საყარაულო ციხესა, გამოსცვივდებოდნენ მცველნი მიეგებებად მისსა: ამ დროს იგი ისე იყო, როგორაიც თავის სახლობაში; მასპურთ-ეცოდნენ სმყა მცველთა აზარფეშებით ღვინისა. ამ დროს მეცყოდა სჳმონ მათ ეს ამისთჳს რომ თქვენ თვალის გუგებით ყარაულობთ ჩუენ დაუ-ფრთხომელთა და მოუქანცებელთა მეზობლითა. ფრი-ად უყვარდათ სჳმონ ყოველთა თანასწორთა გი-სთა და ქვემდგომთაც; მარამ მომეტებულად მათსა უყვარდა მოხუცი ასულსა თჳსსა, მშვენი-ერსა მარინეს, ესეცა ანგელოზის სული იყო. — ჰყვანდა თავადს სჳმონს ვაჟიც მამუკა, გარნა არა-აკურისა იგი შემოქმედმან მამობრივისა ქველო-ბითა, კეთილ სულიერებით და ალერსით; სიყრმი-დგანვე მეცყობოდა რაც კაცი იქნებოდა ყმაწვილი თავადი, — შესდგებოდა თუ არა მას სისცი უსუვა-რი, გამოსთხრიდა მას თვალს ასე დალოურსმავდა ხუზედ, დასასრჩობად კაცს, ჩააქვავებდა ლეკვს;

ამაზედ ცუდი რაღა იქნება, არ გაუშვებდა შემთხვევას ექნა ყოველი ბოროტი ვინც უნდა ყოფილიყო კაცისათჳს. მრავალს ითმენდა მისგან მაკრინე, უმალავდა მამას დალურჯებულსა ჩმეცისა ჲ ცემისაგან; გარნა მნათობარე მჭვრეტელი თვალი სჳმონ ხედავდა ცუდთა მიდრეკილებათა შჳლისასა, სჭმუნვიდა ჲ ვებდა საბრალო მოხუცი, მარამ ვერა უშველარა ვაებასა, არ შეიძლებოდა მიექცია სასტიკნი ზომიერებანი.—

დიდს ხანს ჲ მართლად სცოცხლებდა მოხუცი თავადი; მარამ სჩანს რომ ღჳთისათჳსაც საჭიროანი არიან კარგნი ხალხნი. გამოგზავნა მან თავადის სჳმონის სულისათჳს, შემწეველი უკეთესი თჳსთ ანგელოზთაგანი. მიიცვალა კეთილი მოხუცი, ყოველსა გარშემოსა გახდა ხმა ტირილისა ჲ მწუხარებისა, ყველასზედ მომეტებულად იკლავდა თავს მაკრინე, გარნა მამუკას ერთი ცრემლი არ გარდმოუგდია.— მორებელთ ჲ მახლობელთ სოფლებიდგან შეკრბენ მრავალ რიცხველნი მეგობარნი განსვენებულისა— ძველნი თავადნი ეფყოდენ გრძელთა ჲ ყვავილოვანთა ლექსთა, მისთა ნამსახურებათა ზედა, ჭკუისა ჲ ღირსებათა ზედა, ყრმანი პატივისცემით ისმენდნენ პატიოსანთა გვართ მეუფროსეთაგან ჲ ითხოვდენ ყოვლად

მოწყალისაგან, რათა მან შეაძლებინოს მათცა შემ-დგომ გარდაცვალებულისა დამსახურებად იგივე პატივი; დასასრულ მდიდრულად და არა პირმოთ-ნეობის ცრემლითა დასაფლავებს თავადი სჳმონ პატივისცემით საგვარეულოსა ეკლესისა შინა. —

შემდგომად სამის დღისა ასპარეზობისა, წავიდ წამოვიდნენ ყოველნი თავ თავისად და დაშ-თნენ შეწუხებულისა სახლში დაუმშჳდებელი მა-რინე და დაბნელებული მამუკა, ყოველივე შეუცვა-ლა ამ საცხოვრებელში, რომელიცა გლახაკთა და საპყართა ეშველებოდა თვის შესაფარებლად, ხოლო მეზობელთა და მეგობართა თჳთ სტუმართ მისაღებელს მისამართად. —

წვალებულ იქმნა მსახური შესრულებითა სას-ტიკისა სურვილისათა ყმაწჳლის თავადისა, დაუმ-ძიმდა სახლსაც, სჩაგრავს ყოველთა სამმლავრო მამუკა, მოუმატა ღალა, საბალახე; მცირედის დრტვინვისა ანუ მიუცემლობისათჳს დააწყებს ჯო-ხი და მათრახები, ჰბასრავს და ეცინის ყველას, უმეტესად უმფარველო დასა, გარნა იგი წმინდა ტრედია, ესმის რა კვნესა ქვეშევრდომთა დაუნაშა-ვებლად, ვედრებით და ცრემლით სთხოვს ძმასა დაამშჳდოს თჳსი ამაყი გული; მამუკასთჳს თხოვნანი დისანი, უარეს მჭრელის დანისა არიან;

ცოდვებსა იგი რა მაკრინე დაუწყებს ვედრებას დამ-
შვიდებისათვს, ემუქრის მას, რომელ დაამწყვდევს
ართვევის ცისგმი და მოჰკლავს სიმშილით. მაში
გარემა გულისათვს ემაწვლის განიცხადა, კეთი-
ლობა და სარწმუნოება ღუთისა დამკვდრებულია
მის გულში, კვალად ესვესწება მას, რომელ არ
ათხრებდეს გლეხთა და იყოს მოწყალე მსხლობელ-
თა და მასცერთა, — უზომოდ გაცოფდა ბოროტი
კაცი და ვიზედ? ლვიძლის უმფარველობს დაზედა, —
და დამწყვდეა იგი საყარაულო ცისხში, სადაც
მცველნი ჩამოიყვანა ქვე, უმზადა მას იყოს წვ-
მაში, სიცხში და ცუდს ჰაერში, ყოვლად
სასტიკად უფროს მაკრინეს. — სცნეს რა ავაზაკოს,
რომელ ცოხიდვან ალირვიან უფროებს მშვინვე-
ლითა თვალითა — დაიწყეს წასმა საქონლისა,
ცხვართა და სანელსან სალხისაცა წაყვანა მიებში,
მიექნა არეულობა არეულობაზედ, სადაც მამულა
ასდევინეს მცველთა და ამინეს ყოველთ ფიც-
ხელის გარდახდევინებით, ამ სასით გაღის დრო. —
მოხუცი თავადი სვმონ დაასაფლავებს სამების
დღესასწაულს; იმ დროიდგან უკუმე ორჯერ მეკ-
რიბა მოხსვალი ბურის, ქურის და ღვინის, მა-
რამ ბოროტის კაცისათვს ყოველი მოსვალი მი-
დის უსარგებლოდ, ღვინო უმკანედა ხელუხლე-

ბჟუტი დიდონისა ქვეყნებში — ასე გადიოდა დრო და განვლით სწორედ წუთისოფელმა რაც დაამწყვდია მამა გამწარი ბნელის გეწრონ ცისკენ. გულ მიდგინე ილოცვიდა ღმერთისა ტრფიალით და ვედრებოდა ღვთისა დედასა და წმინდათა მისთა, რომელთ მათ დაუდებს გული მამუკას, არა თუ მის განთავისუფლებიზედ, არამედ დამშვიდებისათვის მამის, რომელნიცა იწვალებიან ტყვეობისა ქვეშე მისსა.

წმინდა ლოცვა, როგორათაც კეთილ სურნელოვანი გუნდრუკი, ადვილად და თავისუფლად მიწიერი იქმნა ტახტებსა უფლის მპყრობელისა, — ვინა იცოდა რამე უწმინდეს ლოცვათა ზედა უმეტეს ქონის? ტკბილმოსა მისა მაცხოვარისა არა თვისის თავისათვის? არამედ მისდამობილთა თვისთა: ამ სახით სწრაფად მიაღწიეს და ასე მოხდა სწორედ ისე.—თავადმა მამუკამ მეწყარა თავისი სიცოცხლე მისი სამშობლოზედ, შეუბრალებელი არ ადგილება ნებას წინააღმდეგ თავის სასახლეში ბერის სიკვდილით, სადაც მახლობლად ცისას დაასდგეს სადაც დაიფლეს ცეცხლზედ ქალები და უსამართლოს მიმართ ცუდს სიკვდილის. გადმოიცემა რა გამწარება ცხადად ცისიდგან დაინახა, რომ დიდებულთა ჯგუფი მიდიან ქალებთან, რომელ-

თა ზედაც მწკრივად ესხდნენ და დაჩხავიან მაგა-
ნი ყვავნი, ორ ორი და სამ სამი ცვივიან ქვაბე-
ბში; ცუდად მოუწვიდათ მშიერთა მშობელთა,
რომ მათს საქმეებში მოისარჩლენ არა წმინდა
მფრინველნი და დაუწყეს მათ გადაგდება ადგილისგან
რაჟამცა იყო ქვაბებში. — ამისმა დანახვებმა მა-
მუკამ დაიძახა მაღალის ხმით ორას მფრინობით,
მე იქმნ... ვარნა ველარ ვათავე ლოცვარაკი ...
ქვაბებიდგან, როგორათაც მსხვილი თოკები ამოდგე-
რენ მაფრენი გველნი, ეცემიან და შემოესხვენენ
ბოროტსა, ავერ უკვე მიდემი გაასხვიეს მისი ბო-
როტი სხეული და განჰკუმირეს ღმერთო დამიხსენ
მე! აღმოუთქვა მამუკამ ვინაი ცოდვათა ჩუმთა-
თვის, — ღმერთო დაიხსენ იგი! განმეორა ციხიდ-
გან მაჯდმა ხმამ მაკრინესამან, მე ვილოცავ ცო-
დვათაგან განთავისუფლებისათვის ჩემის მამისა, ჩა-
ვიცვავ მამისა და მოთელის ცხოვრებასა ჩემსა გან-
ვატარებ უდაბნოში. — და აღსრულდა ფრიადი საკვირ-
ველება; გველნი, როგორათაც ხმელნი ფურცელნი გან-
ჰქრნენ მიწაში, ყვავნი ჩხავილით წავიდნენ მაღლა
იქით და ციხის თავზედ გამოსხნდა თეთრი ცრემლი:
ეს არის სული თავადის ხვთისნისა, ლოცვარაკობდა
ხალხი. —

მეინანა რა თავადმა მამუკამ, მერქნა მესხუბულქმა

და თავისუფლება ყოველთა მისთა ადგილებთა შინა, ამლევდა იგი ხალხს დიდს ვადას, დაურიგა კე-თილი თვსი აოხრებულთა, და მათაცა, რომელნიცა-ოდესმე დახვეწილ იქმნენ, გარნა არ დამშვიდდა მისი სული, თუმცა მაცვივს-ცემდენ მას სახელსა როგორათაცა მამისასა. კნიაჟნამ წმინდად აღასრულა აღთქმა თვსი, ხოლოცა ნაშთსა სიცოცხლისა თვსისა შინა შემდეგ მისა და ჯ.ქვ და განუშორებელად დაწერი-ლობითა მეცნიერის მონასტერში უწინდელთა ცოდ-ვათა თვის მისის და შემაღლობდა განსაკუთრებულსა მისსა ლოცვასა.—მშვიდი ხასიათი შემოიკრებ-სულისა და გულისა მამისასა, რომელთაიცა შემო-გრძნენ მხურვალნი ცრემლნი და მიუღეა იგი აღმო-ჩენას ქვეყნის მოწყალებათა იქველის, საიდუმლო-ლად ლოცვისა და სასოებად მესრულებულისა მას შორის ყოვლის მწყობრებულისა მიერ საკურთხევლე-ბისა.—ვისმიშველი, გოშლის წყვეტით, გლასის ცვასისამოსხლოით წავიდა იგი მთარსა და უცხოსა მსაროსა.

განველო საუკუნე და ათი წლისა; აღარ იყო-დამონილ ცოცხალი არცა ერთი მაყურებელი მამისა ქვეყნისა, ხოლო გადმოვიდა იგი ამბად მამათაგან შვილთა შედა ასე, რომელ გვარიდამ გვარამდე იყო განსხული.

საუკუნე და ათის წლის შესრულების შემდგომ,

მცხეთის ეკკლესიასა შინა შეუსრულეს წესი მა-
რინეს, სან გრძლის და წმინდა ცხოვრებით სი-
ცოცხლით დამარხულებულს უკვდავის გვირგვი-
ნისა, — ყვავილა, რასაც კი შეეძლო მოძრაობა მახ-
ლობლად მყოფს, რათა თაყვანისცეს გვამს მარ-
თალ მორწმუნისასა; მოვიდა მოიოთევან უცნობელი
ღუთის მლოცვი მეგლი მოხუცი ქალი, რო-
გორათაც თეთრი თმები, ღონე მოკლებული,
გარნა ქალმაკი — არა წლოვანებით . — დამშვე-
ბულად და მშვიდ მივიდა იგი განსვენებულთან,
მოწიწებით დაიდვინა მუხლნი, უამბორა თვალთა
ზედა ამისთა, წარმოსთქვა «ტკბილად ძილო! ჩვენ
შეასრულეთ ჩვენნი აღთქმანი,» სოლო გამოს-
თქვა რა მან ესე სიტყვანი — სული მისი მშვ-
დობით მიფრინდა ზეცას თანა ძისასა. — გაიგეს
ყოველთა, რომ ეს არის თვალი მამუკა, დამდე-
ბელი თვისი თვისსა ზედან მძიმე ღტოლვისა ალსა-
შენებლად ქვეყნის მოწყალებით ღუთის ეკკლე-
სიის. — კრძალულად შეასრულეს რა ნება განსვე-
ნებულისა და დაასაფლავეს მარინე მახლობლად
თვადის სვიმონის. — და იქვე მიიღეს მამუკაც. —

კეთილნი სარსნი ამბობენ, რომელ იმ ღამეს
ცხადად და ხმოვანად ისმოდა ჩურჩული გარე-
შემო საყვარელის ეკკლესიის მწვანის ბალახსა

და ხშირთა ფურცელთა ხეთასა და ღილისათვს გაიფურჩქნენ მნათობნი ყვავილნი, რომელნიცა არც უწინარეს და არც მის შემდეგომ არავის უნახავს მათს ქჳეყანაში.

გ. ჯაფარიძე.

ს. ხელთუბანს.

---

* * *

(თ. ნიკოლოზ ბარათოვის ლექსებითგან.)

სატრფოვ! მახსოვს თვალნი შენნი
მშვენიერნი ცრემლით ჰკრთოდენ,
და ბაგენი მშვენიერნი
ხვაშიადსა მიმალვიდნენ!
მაგრამ, სულო, იგი ცრემლი
არ სტიროდა ამ სოფელსა;
სახე შენი მოწყენილი
არა ჰგვანდა ხორციელსა?
აწ მივხვდი მე უბედური
თვალითა შენთა მეტყველებას;
თურმე ცრემლი უცნაური
მოელოდა ჩემს ობლობას.
ახლაც, როდეს ვნახავ სადმე
ცრემლსა თვალთა მშვენიერთა,

გულ-ამოსკვნით ვიგონებ მე
დღეთა ჩემთა ბედნიერთა.

1840 წ.

---

(პუშკინიდამ.)

მე იგი მიყვარს ლხინი, სად თავისუფლება სუფევდეს,
სადაცა გული წრფელობითა ყოველი მხიარულებდეს;
სადაც სალამოთ ცისკრამდეს მხოლოდ «დალიე» ისმოდეს;
ხან ჯამი აზარფეშასა, ხან ყანწი თასსა შეჰსცვლიდეს;
მეც ვჰსჭვრეტდე ჩემსა სატრფოსა, ან მას ჩემი ხმა ესმოდეს,
და ცისკარს სატრფო ხვევნითა წარსულის ლხინსა შეედრიდეს.

თ. გრ. ორბელიანი.

---

## მ... დარია ე... გარდაცვალებაზედ.

(მისის დობილისაგან).

ქართლსა ვიხილე ქალთა მეფეა: ცეროფა, დიანა,
კეკლუცი, ნაზი, ბადრი და ნორჩი, კეთილ სმიანა,
მას ვედობილე, თაყვანის-ვსცემდი მძიან, დიანა,
მარამ მავ-ბედმა; მოისხანე სვედრმა დამაჩიანა:
მომეცა დაჲ, ვისთჳს აწ ცხარე ცრემლი მდიანა!

რომელსა ცასა, რა ვარსკვლავთ გზასა, შეუ-
დგა ჩემი ნაზი დარია!
სადღაა ხასი, ცეროფა, მჳრფასი, ჩემს გულს ისარი
რაზედ დარია?...
ჩუენთან ვერ გასძლო, იყო ღმრთის სასძლო,
მისთჳს ირჩივა ზეცათ მხარეა...
—სადა ხარ ქალო, ეჰა უწყალო, მე დღენი რა-
ზედ გამიმწარეა!

ანგელოზთ დასში, ასიათასში, რომ გარე-
ულხარ, აღარ მცემ ხმასა,
ნუმუმსთილობ ქალო, ზეცის სძალო, რად არ მიბ-
რალებ შენს ერთგულს დასა??
მოვა დრო, მეცა ვიხილო ზეცა, მომეგებები
სამოთხის კარსა,

როდეს თქუენ ზეცით, აღმდგარნიც მკვდრეთით
წარსდგებით ერთად მას სამყაროსა,
მაშინ, დობილო, სულის მეგობილო, როს ხე-
რუვიმნი ჰკვრენ ნაღარასა!...

თ. რაფიელ ერისთავი.

---

ამაოება.

სიცოცხლე ჩუენი ვით მზისა სხივი
ამოვა დილას და განანათლებს;
ღრუბელი მსწრაფლიად დაჰფარავს შავი,
მით წყუდიადი მალ შეაღამებს.
ვითა ველზედა ფერიადს მშუენიერს
იყვნენ ყვავილნი აჰყვავებულნი,
მისა ჭვრეტა სურდეს ყოველს ერს
მალიად სუნი ჰქრება სუნნელი;
მათებრივ ჩუენცა დაბადებულნი
რა ვართ? ოცნება, ამო ჩუენებით,
ანუ გულიცა გვიმის სადგური,
რად არ მოგვაკლებს ქვეყნას ჩუენებით.
რა არს ცხოვრება ესე ყოველი?
სიკჳდილის ენატრულობ წამს და მინუტსა,

თუნდა არ მსურდეს მასვე მოველი,
სიმწარეს ვჭვრეტ ასს წილზედ მეტსა!

კნ. ბარბარე ჯორჯაძისა.

---

## სიზმარი.

ზღვა მღელვარებდა, დაჰქროდა ქარი,
დიდის გვრგვინვის ხმა ჰაერს მოჰქონდა,
ღრუბლით ხანდისხან მთვარე მღიმარი,
შმუნვარ ბუნებას ზედ დაჰსცქეროდა. —

ამ სასტიკ ღელვის საბრალო ნავი
ღვთის ბედობაზედ მიმოცურობდა,
სად იყო მისთვის მყუდრო ნავი,
ზღვისა უფსკრულში დანთქმის ელოდა.

თვის სასტიკ ბორკილ ქვეშ მსხვერპლი დაჰქანდა,
ხან მაღლა უცებ მაქანებდა,
მფრთოვდა, მიწოდა, ფრთოსნა გაჰქანდა,
ვითა თევზს გველი ათამაშებდა. —

მესმა ამ ნავში, გულდაგლეჯით,
ნამტვრევ-ნამსხვრევი ვერცხლის მეგზა ქარი,
დანთქმის ველოდი ქნარით ნამსხვრევით,
თვალთაგან მდიოდა მე ცრემლი მწარი. —

ეს ქნარი იყო თვით ისი ქნარი,
რომელმან ბევრჯელ ქართველთ ბედს მღერა,
რომელმან მითხრა მგოსანს უარი,
მომიუმღერდა რა გულის მგერა.

სასო წარკვეთილს ამ დროს ზეცითა,
მომესმა ღრუბლით გალობა, მღერა,
შევხედე, ვნახე მუზთა კრებითა,
გამოხდა მუხით ჩანგით გვერდა.—

ლაუმო ჯ მსწრაფლ მომკიდა ქელი,
თვისსა საფარველს ქვეშ მიმიკრა,
გამომიცვალა მიხრწნა ხმელი,
საწყალს გამოხსნილს ბედი მომითხრა.

ცრუობისა ღმერთავ! სით მომისვედი?
ახლოს მიველ რა კრძალვით უისარი,—
გამომეღვძა,—რა გონს მოვედი,
თურმე ნუ იცყვთ იყო სიზმარი!....

ივ. კერესელიძე.

## წიგნი მიწერილი ტფილისით კახეთს, იგ. კერესელიძესთან.

---

ოჰ! რა უეცრად შემომესმარე
და სევდიანი მე გამახარე!
შენა ხარ ძმაო? შენახარ განა?
თუ ოცნებაა და მომეზმანა?
ჰოო! შენახარ ტუჩებ მღიმარი —
და მშჳენიერად ტკბილ მოუბარი.
აბა მომითხარ მოგზაურობა,
ვის დაუმტკიცე შენ მეგობრობა. —
როს ნახე მხარე, ჩემი ქვეყანა,
ვის ჰქონდა ტრფობა გულით შენთანა?
მშობელმა მიწამ, არ მამიგონა?
და ჩემ მაგიერ არ ჩაგიკონა?
თუ ისე მწყევდა ვით ურჩსა შვილსა —
თვისის ხსოვიდგან შორს განაგდისა...
არ გადაჰხედე დიდსა მინდორსა?
ხომ არ გეჩვენა სიღნაღით შორსა. —
კავკასის მთანი, დიდრონნი კლდენი
სად დაიხოცნენ ჩვენნი მოძმენი...
ჰნახე მდინარე ის ალაზანი?
ხომ არ მიჰხდია ლონე და მალი?..

მითხარ ჩუხჩუხებრ გრეხით მაგალობს.
და აწ კვალადცა იმ ხმითვე გალობს?
ჰნახე ქართველთა მანათობელი,
რომლის ტაძარში იყო ბოდბელი?
დაემხე მის წინ მუხლ მოდრეკილი —
ისე, ვითარცა მამულის შვილი?
როს გალავანში მიმოივლიდი
საფლავის ქვებსა ნეტა არ სთვლიდი?
იქა მარხიან შემამკობელნი:
მონაზონ, მღვდელნი და მგალობელნი.
მომითხარ ძმაო გესაუბრები,
კარგათ გაშინჯე მუნ სენაკები?
ოჰ! ის დიდება და დიდი კრება —
რა არის ღმერთო მალიად ქრება!
იმა ადგილსა, იმ მშვენიერსა,
მე აღუზრდივარ საწყალისა ბერსა,
როს დავფიქრდები და მაგონდება —
ქვითქვითებს გული და მაქვს გოდება;
ნეტამც მეც მათში, მათსა წიაღში
მექმნეს ის ბედი რომ შემაფარონ!
საფლავი ჩემი იმათ ფეხთითა,
როდესაც მოვკვდე — იქ გამითხარონ. —

დიმ. ბერიევი.

27 ოქტომბერს. 1860 წელსა.

## ალექსანდრა.

მშვენიერო ალექსანდრა,
ვინ ბუნებამ მთჳარედ გზადრა!
ქვეყნიერმა სიტურფითა
შედარება ვით შეგჰკადრა!

ოდეს გიჭვრეტ მომცინარეს;
მსწრაფლ უკუვყრი სევდას მწარეს;
მსურს ორნივე გადავფრინდეთ
უდაბურსა უცხოს მხარეს.

მუნ შევეტკბოთ ორთავ მყუდროთ,
ვითა მტრედთა დავიბუდოთ
და ეშხით დაბრუებულნი
ნეტარებით განვლიდეთ დროთ.

მაშინ ჩემო ნეტარება
მიიხარ შენი ალხარება,
ნახე ჩემი გულის სიღრმე,
ზომე, ნუ დაგეზარება!...

შემდეგ ერთის გულის თქმითა,
შეერთებულის ლოცვითა

ღმერთს შევედროთ საქართველო,
იცვას ისევ ვით ეხლავ ჰსცვიდა!...

და შეწირვა ლოცვის თუ სურს,
ჩუენ მწირთა, მყოფთა უდაბურს
ყვავს ან ყორანს შემოგვიფრენს
დაგვძახებს ანბავს მშობლიურს.

მაშინ უცხოს მახარობელის
სანუგეშო ანბის მახარობელის
მადლს შევსძღვნით რა ჩუენს სამშობლოს
კვალად ვავედრებთ ღვთის-მშობელს!!

მაგრამ ჩემო ალექსანდრა
ამაოა ჩუენი ნატრა:
ცხადათ ვერ ვჰპოვებთ და ოცნება
წამს იშვა და წამსვე განქრა!...

თ. აკ. წერეთელი.

## ლოთის ანდერძი.

ვითხოვ თქვენ, მოძმენო, ჩემსა საფლავზედ
შენდობის თხოვნა არ დამიწეროთ,
მას ვევედრებით: ნათელსა ლოდზედ,
ხელადა, ჯამი, ჯიხვი, დახატეთ!
მე სამღვდელონი დასამარხავათ,
არ გამიმძღვაროთ წყობით ჯვარ წინა,
გითხოვთ, რომ სირაჯნი ჯვარ წინ გაგზავნოთ,
იმათ იციან საფლავის ბინა.
რუმბისა გვერდით ჩემი საფლავი,
იმათ გათხარეს დიდი ხანია,
მომზადებულ აქვსთ წასახურავი,
სუფრა ნიშნითა, ღვინიანია.
კარგი იქნება კუბოს მაგივრად,
ღვინის ნავში რომ ჩამაწვინონ,
და ვარდის ნაცვლად როდესაც დამმარხათ,
კიტრის მწნილი ზედ დამაყაროთ.
გვერდითა ჯამი და მასთან ქოცო
ღვინითა, ლამპარი მე დამიდგენით,
აღდგომის ჟამსა რომე ვილოცო,
ნუ, ბასუსი ზედ დამისაცვეთ?...

თ. გიორგი ორბელიანი.

## სამშობლო ენისათვს.

მე დიდის ხნიდამ მსურდა დაწერა ამბავისა, რომელსაც ვსწერ ეხლა, მაგრამ ვერა ვბედავდი არა თქონ მკითხველთა, დამწერი ამა ამბავისა ცრუობსთ; ეხლა რადგანაც ყველას ნანახი აქუსთ ანბავი ესე, რომელიც იწერება აქა, ვბედავ დაწერასა ამისასა ჩემისაცა და მაქ იმედი არ იტყვან მკითხველნი არა სიმართლესა დამწერისასა.

საყვარელნო ძმანო ქართველნო! გთხოვ მომცეთ ნება, რამოცელიმე სიტყვა თქმისა სამშობლო ენისათვს და მამულისათვს, მოგახსენოთ რომა არიან კაცნი, რომელნიც ივიწყებენ ენასა თვსსა და იმულებენ მამულსა თვსსა, უდგებიან სხუათა ენათა და მიენდობიან სხუათა მამულთა; ხოლო კაცი ამისთანა არა არს კეთილი, არამედ იგი არს... ჩუენ ვხედავთ ეხლა მაგალითებს, რომელნიც სხედიან აქა, არ იციან ღირსად ენა თვსი ქართული და იციან ფრანცული, როგორ უნდა

ვსთქუათ კაცობა ამისთანა კაცისა ჩუენა?

არ იცის ენა თჳსი თქო? ეს დიდათ ჩუენ-თჳნაც სირცხვილი იქნება, რადგანაც ძველთა დროთა უმასოდენ ენისა ქართულისა განათლებულის; და ეხლა სიტყუა ჩუენი დავამცირეთ ენა ჩუენ-ნი და გავთქმევინეთ სხჳს მართალიათ! სჯობს არა ვსთქუათ სიტყუა განსამართლებელი მისი, და ვსთქვათ იგი არს სამშობლოსა საზოგადოებისა გამორიცხული, და ამისთჳს ივიწყებს ენასა თჳსსა და იმურებს მამულსა თჳსსა

იყვნენ ძველთა დროთა ფილოსოფოსნი ქარ-თულისა ენისა ზედა, რომელთაც ვგავთ ენა ჩუენი განსაკუთრებით განწყობილი სხვათა ენებთაგან, ხო-ლო რა ფილოსოფოსნი იგინი მოიცვალნენ ენა ქართველთაც დაეცა და უნდა აღდგენა მის გო-თურცა წაქცეულისა რამე.

ოფიციალი სურსთ მეცოდეთა ქართველთა აღდგე-ნება ამისა სამშობლოსა, მაგრამ რითი? ერთი ამბობს მე ფრანციულს ვისწავლი ის მოიწყინეთ, მეორეც ემოწმება მეც აგრეთ, მესამე ამბობს მე რუსულის ენაზე ბოლოსი უნდა ვიქნეთ; ხოლო მე-ოთხე ამბობს რათა, მე ჩემი ენა მიქმეს და სჯობს დავისწავლო ენა ჩემი კარგათ და ნასწავლი ენას მაინც ემსახურობინებათ. მაგრამ აქ ერთმა რა ქნას,

როგორც ერის ზარას არ მალუმს მიწოდებს ქუეყნისა, ეგრეთვე არც ერის გულს მალუმს აღდგინებს დაცემულის ენისა; ესლა რა ყველასა ვგრძნობთ ამა არს გარე დავიწყება სამშობლო ენისა, მეუდგეთ სუყველანი ქართველნი მის გამართვას, და დავიკავოთ ენა ჩუენი, როგორც მკვათ წარსულთა საუკუნეთა მამაპაპათა ჩუენთა; თუმცა იფიქრებენ მრავალნი ჩუენნი ძმანი; რა იქნების მით, რომ ვისწავლოთ ქართული, ანუ რათ გამოგვადგება, რადგანაც გვართ ჩუენ რუსეთის მფლობელობასა შინა; მაგრამ ეს არ უნდა იფიქროს ქართველთაგანმა, თუმცა უყვარს სამშობლო ენა თჳსი, ამისთჳს რომა ყოველთჳს სჭირობს საკუთარი ენის ცოდნა, ვიდრე ნათხოვრისა.

ჩუენ მხოლოდ დავიკავოთ ენა ჩუენი ეგრე, როგორც მკვათ წარსულთა საუკუნეთა მამაპაპათა ჩუენთა, მაშინ ჩუენ ვიქნებით: პირველ მოყვარული მამულისა და სამშობლოჲსა, ხოლო კაცს, რომელსაც უყვარს მამული თჳსი და სამშობლო თჳსი, იგი არს საყუარელი ღმრთისა, მეორედ სახელი ჩუენი იქნება გასული მრავალს ქვეყანაში: ქართველებმან აღადგინეს დაცემული ენა თჳსით და იქნება უმჯობესად სასიხარულო ყოველთა ქართველთათჳს.

თუმცალა მსურდა მომაცემა ამა ანბავებისა რა-მოდენიმე აზრის ჩემისა, მაგრამ ვერ დავარწმუნე თავი ჩემი, რომ ჩაითარნ მისთანა მკითხველნია, რომელსაც არ სურს გამართვა ენისა სამშობლოისა და ამისთვის გსწერ ცოტასა და მაქ იმედი რო ყვე-ლანი წაიკითხავენ, რისთვისაც ვიქნები მადლობელი მათი.

თ. მაჭავარიანი.

ჩყა-სა წელსა.
ოქტომბრის გ-სა დღესა.

---

## იშვიათი ანბავი.

ერთის ღერმანიის ქალაქში ცხოვრებდა ახალ-გაზდა კაცი სახელად გოლფელდ. ეს ყმაწვილი კაცი მშვენიერი სანახაობისა იყო და ამასთანავე ასეთი ზრდილობიანი ყოფაქცევა ჰქონდა, რომ ძნე-ლად გამოვიდოდა ისეთი ქალი, რომელსაც უარი ეთქვა იმის მეორეზედ. მარამ ამ ყოველ სიკე-თესთან, ჩვენი ყმაწვილკაცი ძალიან უკუღმართოთ გასლიდათ ჯიბესთან.... ეძებდა მზითვიანს საცო-ლოს და ბედის ვარსკვლავმაც მიიყვანა ის, მდი-დარ კაცის სახლში, რომლის ქალმა დაამტკიცა

საზოგადო აზრი, რომ ვილჰელმი არის ფრიად საამო და საყვარელი ყმაწვილი კაცი.—გამოცხადებით დანიშვნა ჯერეთ არ მომხდარიყო, მაგრამ ყოველმა იცოდა მომავალი ქორწილი, ამისთვის რომ ვილჰელმი ხშირად დადიოდა საცოლოსთან, რომელსაც ერქვა კლარა —ამათთანავე განუშორებლად იმყოფებოდა კლარას ტოლი და მეგობარი ქალი ავგუსტა. უნდა ვსთქვათ, რომ ავგუსტა მეტრით ლამაზი იყო კლარაზე, რამიაც დარწმუნდა ვილჰელმიცა. ის ჰსწუხდა ამაზედ, რომ ავგუსტას სილამაზესთან კლარას ფულები არ იყო, მეტრსა ფიქრობდა ამ გვარ უთანასწორობაზე, და მიაღწია ბოლოს იქამდინ, რომ საკმაოდ ცხადათ გაუცხადა ავგუსტას თავისი განძრახვა და სურვილი. მას მიუღეს ჯეროვან, მაგრამ ნარნარათ გულთა პარობა დიზღეს ერთმანეთის სიყვარულისა დაფარულად, ამიტომ რომ ვილჰელმს არ შეეძლო ხელის აღება მზითვიანის საცოლოზე. კლარა დიდხანს ვერ შენიშნავდა რა მოხდებოდა მის თვალწინ, მხიარულად და უზრუნველად ამზადებდა საქორწილო საჩუქრებსა თვისის დანიშნულისათვის. ერის კვირის უკან დანიშნის შემდეგ დაბადების მდიდრის სახლში მოხდა საშინელი შფოთი: ჰარკველად ჩამოვარდა კიბიდგან მშვენიერი ყმაწვილკა-

ცი, შემდეგ ყმაწვილი სტუმარი ქალი, მასზედ დაეცა მაგი ახირებულის წამოსასხამი, მერიამა ყვავილებიანი და დასასრული გამოსცა ხმა გამოსალმებისა: ასე ეშმაკმა წაიღოს თქვენი თავი და ტანი გამოუსადეგნოვო:: საკვირო არ იქნება გამოვიცნათ, ვინ იყვნენ ის საცოდავნი, რომელნიც თავპირის მტვრევით ჩაცვივდნენ კიბიდგან?...

კლარას მალე გამოუჩნდა მეორე საქმრო და ამასთანავე ისეთი კარგი, რომელმაც უმზითვოთ დაიწერა ჯვარი. —

მათ შორის ვილჰელმ და ავგუსტა განაგრძელებდენ ერთმანერთის სიყვარულსა, მაგრამ მაზედ დადგა იმათი საქმე: ვილჰელმს არა ებადარა და ამის მზგავსად არა ჰქონდარა ქალისა, ანუ ამ გვარ მდგომარეობაში, როგორ გარდაეხადნათ ქორწილი? მარამ სხივმა იმედისამა გაუხსნათ გული მიჯნურთა: ავგუსტასა ჰყვანდა ბებიდა, რომელსაც ხან და ხან ნახავდა ხოლმე. ბებერს ფულები ჰქონდა, ჰსცხოვრებდა კლომოჭკავრებით და თუმცა უშვილო იყომარა მემკვიდრეები საკმარისად ჰყვანდნენ: ყოველი ნათესავნი ეფერებოდა ბებერს იმ საამო იმედს, რომ მოჰყოლოდვნენ ანდერძის წერილში. ავგუსტამ იცოდა სუსტი მხარე ბებიდისა—პატივის მოყვარება,—და იმედოვნობდა ამ გზით თავი

შეეყვარებინა, ამიტომაც გაბედა წარდგენა მასთან ვილჰელმისა, როგორათაც თავის საქმროსი. შებიდა დარჩა კმაყოფილი ნათესავის აღმორჩევაზე. ავგუსტამ ხშირად დაიწყო სიარული ბებერთან, გაართობდა მას სხვა და სხვა ამბებით, ყოველთვის ვილჰელმის თანა დასწრობით და მით უმეტესად და უმეტესად შეიძინებდა ბებრის გულსა.— აგრე გაიარა რამოდენიმე დროებამ. ბებიდა გახდა ავათ: ავგუსტა და ვილჰელმი არ მოშორდებიან ავათმყოფსა, უვლიდნენ ერთგულად და მოუთმენლივ ელოდნენ მის ბოლოს მოღებას. «შვილებო, თქვა ერთხელ ბებერმა სუსტის ხმით: ძალიან მოუძლეური და არც დიდხნის სიცოცხლე მაქვს. მსურს თქვენი პატივისცემის გარდახდა. დიდიხანი გავზედი ანდერძი თქვენ სასარგებლოდ ჩემის მცირე ქონებისა, რომელსაც ღმერთი ინებებს ჩემს ამ ქვეყნით განშორებას.» ავგუსტას ამოუჯდა გული; ვილჰელმა როგორც იყო და არ იყო ჩამოყარა ცრემლი მშრალის თვალებიდამ და ისეთ ნაირათ მომართა სახე, თითქოს თვითონა კვდებოდა. «ნუ სტირით, შვილებო, განაგრძელებდა ბებიდა; ნება ღვთისაა!... აგრე, თუმცა მე მსურდა დანიშნა მხოლოდ თქვენი ჩემს მემკვიდრებად; მაგრამ რადგანაც მე ბევრი ნათესავები მყავს, და რომ გამო-

გიყვანოთ თქუენ დიდის დავებისაგან, რჩევა მქონ-და ერთს გამოცდილ კაცთან, და იმან მირჩია ერთი ლოცვის მიღება, რომელიცა პირველათ, რასა-კვირველია, შესაძლოა გეჩვენოთ საოცრად, და მეც ვეჭვობ წინ და წინ მაზედ გაბედვას, მაგრამ მოიფიქრეთ.... ავათმყოფი დაჩუმდა, ყმაწვილნი ხალხნი უყურებდნენ ავათმყოფს მწუხარეს მო-ლოდინში....»

«ლოცვისმიღება, მართალია არ არის ჩუეულებრი-ვი, განაგრძელებდა ზებიდა, მაგრამ ვხედავ რომ არის ჭეშმარიტი, გამოცდილმა კაცმა მირჩივა მე.. ჯვარი დავიწეროთ ვილგელმზე ქვემაგებად მწოლიარეზე...»

ვილგელმი გაშრა; ავგუსტამაც პირი დაღო და განკვირვებით თვალები დაჭყიტა.—«ვაჰა, გასა-ოცარი რჩევაა! ჰკითხა ავათმყოფმა; მაგრამ, უნდა დავთანხმდეთ, რომ გონიერ-ულია, ძალიან გონიე-რული: ჩემს ქმარს ვერარავინ მოუცილებს მემკვიდ-რეობაში; ორ დღეს უკან დავიმინე განულვემყბე-ლის მიერით და მაშინ თქუენ გაიხარეთ ქორწი-ლი... მე დავსუსტდი... მეტი ლაპარაკის თავი არა მაქვს.» და მისრწინილი ბებერი მიესვენა ბალიშზედ. ავგუსტამ და ვილგელმა განცვიფრებით შეხედეს ერთმანერთს, და როდესაც ავათმყოფმა

დაიძინა დაღალულობისაგამო, დიდხანს ჩურჩულებ-დნენ. ორ დღეს შემდეგ სასტიკი ბებერის ბებიისა იყო სალხინოდ გამზადებული: სტოლიზედ ენთო ორი წმინდა სანთელი: შეიკრიბნენ რამდენიმე მოწ-მები; ავადმყოფი ჩემნიკ გადასურული, რომე-ლიც შეადგენდა მთელს მის საყვარელგვინო მორ-თულობისა, იდგა ქუჩმაყებში მასცნებული ავ-გუსტას გულზე; ვილგელმ შავ ფრაკ ჩაცმული, თეთრის ფერხსაცმლებით ყელზე ძლონს. პასტორმა (მღვდელმა) უთხრა მეფე დედოფალს მოკლე შესხმა და მეურთა ემარჯვლი კაცის ქალი ბე-რის ქვითარ. ორ დღეს შემდეგ, აბა საკვირველე-ბა! ვილგელმა დაინახა რა ავადმყოფი წამოდ-გარი ქუჩმაყებიდგან და ამხარი საკვირველებს! — გაიგონა რა ბებრისაგან გამოცხადება მტკიცე ხმით, რომ ის გრძნობს ძლიან უკეთობისა. დი-დი გაიმაგრა ვილგელმა გული რომ არა ლე-მართა რა მამით. ამ დროს ბებერი მოუჯდა გვერდით, მოხვია ხელი და ნაზით მეჭყუმურებდა შე-მინდობულს თვალებში. მაგრამ ვინ აღწერს ყმა-წვილი კაცისას, საშინელს მდგომარეობისა, რო-დესაც ცოლმა აკოცა ტუჩებზე!...

ამ დროს შემოასწრო ავგუსტამ და კინაღამ გულს არ შემოეყარა, ასეთი რა თვალით მოუ-

ლოდნელი საყვარლება. ყმაწვილმა ქალმა და-წყო ტირილი. მას აქეთ განვიდა ხუთი წელი და ბებერმა არ არის საყვარელი ერთი ათი წელიწა-დი კიდევ იცოცხლოს, ამისთვს, რომ შემდეგ ქრისტიანის სრულებით მარხვა და მოყუათიანდა. ავგუსტას მოსწყინდა ლოდინა ბებიის სიკუდილისა და შერთვა-ქმარი. — კლარა! საცმოდ დასაჯა-ვს შენი მოლოდინე!

თ. გ. ბარათაშვილი.

ს. ტფილისი.

---

# მწერალს რა ეჭირება?

## (თხ. კარამზინისა)

ამბობენ, მწერლისათვს საჭიროაო: ნიჭი, ჴსწა-ვლა და ცოდნა, მახვილი და გამომსაცველი გო-ნება, ცხადი გამოსაცვა საქმისა და სხუა და სხუა... ჭეშმარიტია: მაგრამ ეს არა კმარა; თუ უნდა მწერალს, რომ ჩუენის სულის საყვარელი და მყვა-ბარი იყოს; თუ უნდა, იმის ნიჭიერება დაუბრკლე-ბლად ბრწყინვალებდეს; თუ უნდა, რომ იმისი ნა-წერი სამუდამოდ დარჩეს და სალხის კურთხევა·

მიიღოს: უნდა ჰქონდეს კეთილი და ჩვილი გული. სიყლოსანი ყოველთვის ხელოვნობაში იცნობება, თვითონაც რო არა სურდეს. ჭირვეული მწერალი ტყვლათა ცდილობს მკითხველის მოტყუვებას; ტყვლათა ცდილობს, რომ მარგალიტის სიტყვებით დამალოს თავისი ქჳა—გული; ტყვლად გვიქადაგებს ჩუენ მოწყალებასა, შებრალებასა და სათნოებასა! ყველა იმისი ღაღადება გრილი და უგულოა; არის დრო იმისი ისწურება მკითხველის ჩვილ გულში არ ჩაღჳრის სულის გამღვიძებელს ზეციერს ცეცხლსა.

ღმერთს რომ ვარდენი ადამიანისათვის დიდი ნიჭიერება მიომეცა, მშვენიერების მშვენიერებად კი არ გამოხატავდა; მშვენიერების—გამოსჯულაბნილა. ესეა გაჩირქიანებული ბურბელში წმინდა საკურნებელი სასმელი სასიზღარ, მოსაწამლავ სასმელად გადიქცევა.

თუ შენი სასის გამოსაცდა გსურს, ჯერ ჰირველად კარგს სარკეში ჩაიხედე: იმ გვარ ხელოვნებაში, რომელშიაც საქმე ის არის, რომ ჩინებულება, უაღრესობა, მშვენიერების წესიერების (ჰარმონიის) გამოსაცდა იყოს, რომ შეუძლებლობის საზღვარში სიამოვნება მოჰგვინოს: ამ გვარ ხელოვნებაში შეიძლება, რომ შენი სახე გამოდ-

ცეს თუ არა? თუ შემომქმედ ბუნებას დაუბადებიხარ ქარაფშუტობაში ან მშვენიერებასთან ბრძოლის დროსა, საჭიროა რომ გონიერად მოიქცე, ნუ გაამახინჯებ დახელოვნებულის ოსტატობის კალამსა. შენ გაძრახვას თავი დაანებე. კალამს რო ჴელსა ჰკიდებდე და გინდოდეს რო შექმნა მწერალი: მარტო, უმოწმოდ, გულ-წრფელობით შენ თავს ჰკითხე: როგორი კაცი ხართქო,— ამიტომ, რო შენი სულისა და გულის სახე უნდა გამოსახო, შენი სული და გული უნდა გამოსთქვა.

იქნება ჰგონებდეთ, რომ ისე ტყუილად გამოთქმა მწყემსებისა და იმათ ქალების უბიწოებისა და სულის სიკეთის შეეძლო ჰესნერს (*), თუ ეს სასურველი ხასიათი იმის გულისაგან შორსა ყოფილიყო?

გსურს მწერლობა: ქვეყნიერობის უბედურების მოთხრობა,—გადიკითხე და თუ საცოდაობით გული არ აევსოს, კალამი ხელიდგან გააგდე, თუ არა და, ეგ კალამი გამოხატავს შენს გამოფიტებულს სულსა.

მაგრამ, თუკი ყველას შეწუხებულს, ყველას დაჩაგრულს და ცრემლიანს რამეს, შენ მგრძნობელს

(*) ჰესნერი, გამოჩენილი მოშაირე ყოფილა ნემეცებში.

გულში გზა და ადვილი აქვს ; თუ შენი სული მიასწევს იმ მდგომარეობას, «რომ სიკეთისათჳს ყინად გადიქცეს» და იქონიებს სამღთოს, ვერას გზით დაუბრკოლებელის «ყოველთათჳს სიკეთის სურვილისა» მაშინ გაბედვით კალამს კელი მოჰკიდე; უვარგისი მწერალი არ იქნები შენ, — და კეთილი კაცი მშრალის თვალებით ვერ შემოხედავს შენს საფლავს.

სიტყუე, სიტყჳს დამშვენება და გამოხატვა, ყველას ეს გულს მარტო მაშინ აუტკივებს და ასიამოვნებს კაცსა, როდესაც თჳთონ მწერალი შეგულიანებულია გრძნობელობით; თუ ეს არ გაახურებს მწერლის გამოხატველობას, არას დროს ჩემი ცრემლი, არას დროს ჩემი ღიმილი ამისთჳს საჩუქარი არ იქნება.

რისგან არის, რომ ჟან-ჟაკ რუსსო (*) თავი-

(*) ჟან—ჟაკ რუსსო სცხოვრობდა გასულ საუკუნეში. ფრანცუზებში და მთელ ქუეყანაზედ განთქმული მწერალი და ფილოსოფოსი. თუმცა და ათის წლისა რო ყოფილა, თავისი აღსარება დაუწერია, რომ თავისი მოქმედება და სიცოცხლე გაუმხილებია, ამას გარდა სხვაც ბევრი რამ უწერია და ისეთი კეთილის გულის ნატრონი ყოფილა, რომ ახლაც შემბრალებელთ და მოწყალე და ყველა მშჳწნიერების მოყვარე კაცი ნახონ, ასე იტყჳან: ჟანჟაკიანო. — ჩუენებში ხომ ფრანცისკული იციან, მადლობა ღმერთსა, გვითარგმნონ რა

სის სიმხდალით და შეცთომით მოგვწონს? რისგან არის, რომ იმის თხზულებების კითხვა მაშინაცკი გვიყვარს, როდესაც ოცნებობს, ან იქნება უთანხმოებაში და შეცილებაში? იმისგან არის, რომ იმის შეცთომაშიაცკი დაჟინებულის კაცთ-მოყვარეობის ნაპერწკალი ლაპლაპებს; იმისგან არის, რომ იმის სიმხდალესაც სასურველთ კეთილსულობა მაინც ეტყობა.

მაგრამ ბევრნი სხვა მწერალნი, თუმცა სწავლულნიცა და მცოდნენიც არიან, პარს იქით სულს მიმღოთებენ მაშინაცკი, როდესაც ჭეშმარიტებაზე რამესა სწერენ: ამიტომ, რომ ეს ჭეშმარიტება იმათ პირში მკვდარია; მისთვის რომ ის ჭეშმარიტება კეთილ მოქმედის გულითგან არ ამოდუღილა; იმისათვის, რომ სიყვარულის სუნთქვა იმას არ აღვიძებს.

ერთის სიტყვით, მე დარწმუნებულივარ, რომ თუ არ კეთილი კაცი, სხვა ვერავინ შეიქნება კარგი მწერალი.

პ. ყ.

---

იქნება, მაგრამ, ვაჲ ჩუენი ბრალი. ყველა ხომ პაწაწა ცის-კარში ვერ დაისტამბება, და ისე ხარჯი მოუნდება; ჯან იკის-რებს. ჩამ ცუდი ხარჯი იქნება გადმოთარგმნაცა.

—ჩუენ წიგნებს ხომ ძალიან გკითხულობთ და, ახლა სხვე-ბის წამოჩხიროს. მაგრამ, იქნება იმან გვეშველოს.

პ. უ.

# სალაღობოს ფურცელი.(*)

(კეთილშობილების შეკრება ქ. ტფილისში.— სტუმრობის გამართვა.—თანამდებობის პირთ ამორჩევა.— ცრუ პატრიოტნი და იმათი მოქმედება.— ბანკი და იმის მნიშვნელობა.—სასწავლებელთათვს ზრუნვა.—უპატრონო ღარიბნი და სნეულნი.— რა ღონის ძიებით შეიძლება წესდებულებას რიგიანი მოქმედება მიეცეს.—)

მოვიდა შემოდგომა, გვიახლოვდება იანვარი და ჩვენნი კეთილშობილნი დაიწყებენ თავსკუთვნით დენას ქ. ტფილისს, სადაცა იმათ მოელიან მშვენიერი სადილები!.. სადილები! სადილები!... ჩვენში სადილს თავისი მნიშვნელობა აქვს. არაოდეს არ იფიქროთ დაპატიჟოს იმ კაცმა და გაეწიოს მასპინძლობა იმ პირმა, რომელსაცა თქვენთან საქმე არა ჰქონდეს და რომელმაცა არ

(*) თუმცა ამ სტატიის დაბეჭვდა არ გვინდოდა, მაგრამ იმ ჯგარმა პირმა გვიბძანა, რომ ვეღარ უარვყავით. რ.

იცოდეს, რომ თქვენთან იმის სასარგებლოდ გა-
მოდნება რამე... იდეს ჩემთან არცერთმე შება-
დები ბიცოლებს!..იმასის ერთი. — ოჰ, რა მშვენიერი
სამი მაქვს დღეს სადილათ, არ ინებებთ კნიაზო
მქუშვნეთ!... იმასის მეორე. — «ჰა! ჰა! ჰა! ჰა! ჰა!»
იქედის მესამე და მეოთხე, — «რა ღვინო ჩამომიცა-
ნია კახეთიდან, შენ ნუ მომიკვდები, ერთი დამე-
ქეიფი მცემელი რომ მიკრა, მამანისეს გადაუ-
ხადა! თუ კარგათ მეფეხმაწეები, წამომყვე შინ და
ერთი კარგათ, ლაზათიანათ, ქართულად დაგათო-
რობ!... ირჩევენ ამარისაგპირველოა, რადგ მეორესავით
გულის თქმა მოუვა, მაგრამ რომ გეუბნება, თუ
კარგათ მეფეხმაწვეები, ისე არ იცის, რომ მო-
ჰაცეყეს, ანუ მასპინძელს უფრო მოსაწყენი და
სათხოვარი აქვს: ან პრიკაზის დირეკტორობა
უნდა, ან პალატის მდივნობა, ან.....ვინ იცის
რა! და ამას ისე იცით როდის გაგიმჟღავნებთ?
შუა სადილზედ, რომ არაყი დაგაცლის ჰური
რიგიანათ გამოიხმოს... ცხვირში ამოგადენს ხვავრის
ლიგმნით და თხოვნით, მაგრამ მერე გზა არ არის
უნდა აღუთქო და ჰკითხო, რომ ის შენი მასპინ-
ძელი, ისეთი სასარგებლო კაცი არის, ისეთი მა-
მულის და მამამულეთ მოყვარე, რომ თუ გაჭირ-
და თავის თავს მსხვერპლად შემოგწირავს. ეს,

აქ ამის მოგახსენებთ მინამ უჭირს, მაგრამ როცა გამოიჭიმება ზეწარის წინ, როგორც ხმალის მე-მოიკრავს და მიდის მოლაყბნაზედ, აბა მაშინ წინ დაუსვლი და თავი დაუკრა? ფიცხლავე ორ თითს მიუბღლისკენ აიშვერს. ჩვე ვითომც შემოცხედის, შენ არ მამიკვდე! აბა მაშინ გაუსხენე ხალილი?..

„რა ვქნა, დიდი ხარჯი მაქვსო, ჩემი უმა-მამული მოუვლელობით იკარგება, საზოგადოების კეთილმდგომარეობისათვის შემიწირავს და ამ სამა-ნელს მკითხვს სიცხეში ქალაქში ვიწვიო." მკით-ხველო კი ალარ მოიპოვება ჭკიანის ყური, თუ რა-კეთილმდგომარეობა მოუნიჭებია საცოდავის საზო-გადოებისათვის? იმ ორ წელიწადს აგე მოგახსე-ნებთ და აგე თავ ალებული დადის, რაკი დაწყე-მესამე წელიწადშა თავისი ჩვეულებრივი მოდისა-რობა; რაკი ამ მესამე წლიწადის შემოდგომამ ფესი კუსავით გამოყო, აქ სადილები რომ კეთ-დება, იქ ბანკეტები რომ იმართება, ვერსაკენ სა-უზმეები... ბულვარზედ ხომ ველარ გავლით, არ შეიძლება რესტორაციაში არავინ შეიპარებულიყო და კარსა არ გასწავთ. არა, მომიტევეთ! არ ვეგო-ნით, რომ ყველა ქართველს ეტრფიებოდეს. უპატრონობითი კარგით ლესინკოსაგან რა გამოდგება რაცხრომ მე არა მეცოდინება? იმისთვის, რომ ცხა-

დათ იცვიან, არც შავი კენჭი მამაცის, არც თეთ-რი, არც ლურჯი, არც მწვანე, ერთი ალმაჭრელისანის გამურულის და გამშვარცლულის კალმის მეტი! ათასჯერ რომ თავი გიმტვრიოთ, მილიონჯერ რომ თავი გითქვათ, ისე ჩემი არა იმოქმედებს-რა, როგორც ერთი კარგი სადილი! — ამ სადილის გაკეთების დროსაც დიდი ხერხი და ოსტატობაც უნდა, რომ თჳთმა კუჭებმა იმისაკენ გაიწიოს, თორემ სადილს ბარემ მეც გავაკეთებ, თუ ვი-ცოდე ქართველების მამასახლისობის მომცემდნენ. არა, მომიტევეთ, ეგრე არ გასლავსთ. აქ, ამ სა-დილის გაკეთებაში და თანამდებობის აღმოჩენის თხოვნაში დიდი მოქნილი და დახელოვნებული კა-ცი უნდა იყოს, თორემ ვერას გააწყობს!... აქ, ცხადია, ბევრნი დამიწყებენ აუგათ ლაპარაკს და კიცხვას: ამას როგორ ჰბედავსო? ასე პირ და პირ-როყრად ლაპარაკობს და არ ეშინიან არც ღვთისა და არც ღვთის რისხვისაო. — არა მოწყალენო ხელ-მწიფენო! რასაც სიცრუით გილაპარაკებ და გატყუებ, იქ მეშინიან ღვთისაც, ღვთის რისხვისაც და თჳთონ უკანასკნელის კიცხვისაც; რასაც სიმართლით გილა-პარაკებ, იქ ვინც უნდა იყოს არ მოვერიდები. არც ეს გითხრა მაშ? დახელოვნებული და გავარ-ჯიშებული ამორჩევით თანამდებობის მქონებელი, აი

კიდევ რას ხადის, სადილებს და რესტორაციაში დაპატიჟებების გარდა: რომ ნახავს ერთ ორ სამს თავისს ტოლის კაცს და, რომ ნახავს ამ ორიოდ კაცს კენჭის უგდებიაც აქეთ, დაცინალებ მეგამი ხარისხით, ლაპარაკობს საზოგადოდ კეთილს საქმეზედ მოულოდნელად, თეატრის ქალმერთზე გამართვაზე, ჟურნალის გამოცემაზე, ძველი წიგნების გამოცემაზე, სასწავლებლის დაფუძნებაზე, ღარიბ უმაწვილების რუსეთში გაგზავნაზე და თუ მართლა საქმეზედ მივარდა, იქისე დაიმალება, როგორც მწევრისგან გამოქცეული ყურცმელი (კურდღელი). ახლა ეს მკითხეთ, თუ რათ პატრიოტობს საცა-რაული? როგორ არ იპატრიოტებს კენჭში ამორჩევა უნდა! აგე რომ ლაპარაკობს, მსმენელიც აგე ანბობს, ამაზედ კარგს ვის ამოვარჩევთ, სულამთ რაები ხამოთველა და რამდენი კეთილი განზრახვა აქვსო ერთი ჰკითხეთ ღვთის გულისათვის იმ უბედს,— ამ სამის წლის განმავლობაში, რომელი სასწავლებელი დაფუძნა და რომელი თეატრონზე ალაგდებინა... რასაც მოგახსენებთ მკითხველნო, მართალია თუ არა, ოჯახის თქვენი კეთილშობილება გეფიცებით; რასაც მოგახსენებთ კეთილის გულით და სულით მოგახსენებთ. მე არც ალიგორიები მომესმის აქა და არც გამო-

ბოლოები!....თუ ჩუენში მართლა აქუს ვისმეს კეთილი განზრახვა, რომელიც, საზოგა-დოების, ერთის სიტყვით ცხორების კეთილის მესვეურნიცეს, მაშ რატომ არ ვფიქრობთ იმ უმთავრესს საგანზედ, რომლითაც წარმოსდგება ჩუენის შვილების ბედნიერება.—კეთილშობილი აი-ღებს თავს, გამოსწვლის და საიდგან სად ჩამოდის, რა არის ერთი კერძო მაქჳს და თუ იმას არ ჩა-უვლი დამკვიდრებით. ერთი კაცის დამოკიდებისა-ჩვის და ჩუენის შვილების, შვილის-შვილების, ერთის სიტყვით ერთის მოლოდინის დაღუპვა არა.—ამაზედ უკეთესი დრო სად შევხვდებთ მოსალაპა-რაკებლად საზოგადოს საქმისათვის. როგორც ზემოთ მოვახსენეთ ეს უმთავრესი საგანი არის სასწავლე-ბელი,—საკუთარის სასწავლებლის დაფუძნება. ყველაფერში მთავრობას ხომ არ უნდა შევყუროთ პირში. რა ქნას მთავრობამ, რომელიც ერთი საქმე გაარიგოს. მთავრობა რის ერევა ჯერ ჩუენს საჭიროებს უნდება თავის და ოცის წლის განმავლო-ბაში.—სწორედ ის სასწავლებელი, რომელიც და-წესებული მთავრობისაგან არა გვეყოფის. ასის ყმაწვილის ალაგი არის და სამი ათასი მის მშობ-ლებიანი ჰყრიან უპოვრად, ღარიბები და ღატაკები. სად წავიდნენ? ვის მიიცეს? სად აქვსთ იმათ

თუ და ასი და ორმოცი თუმანი, რომ პანსიონში გაზარდონ? ვისაც საზოგადოებისათჳს კეთილი უნდა, ამაზედ უნდა მოილაპარაკონ საზოგადოებაში გულმტკივნეულად. ვინა ის ღარიბნი ჩუენნი ძმანი, საზოგადოებას რა შეადგენენ? რას ვემართლებით იმათ? ნუ თუ არ უნდა ვლოცოთ იმათ და იმათ შვილის შვილებს ხალხში გამოსვლა? საჭიროა ჩუენთჳს საკუთარი სასწავლებელი. სხუა არაიფერსა საკუთარს ჩუენს მამაპაპის ენას მაინც ისწავლიან რიგიანათ, რომ ახლა ისე იზრდება ყმაწჳლი, რომელმაც სწორეთ კითხვაც არ იცის. განა ჩუენ კი არა გვაქუს ჩუენს ენაზედ გეომეტრია და ტრიგონომეტრია? მივხედოთ სომხებს, თითით საჩვენებელი სომხებს! რა საკუთარი სასწავლებელი აქუსთ ტფილისში დაფუძნებული და ამ სასწავლებელში, რა საკუთარი თეატრი აქუსთ თავიანთ ენაზედ ანბობენ, რომ თურმე კონსტანტინეპოლში სომხურს ენაზედ ოპერაც აქუსთ. აქაც კი აპირებენ, როგორც შევიტყე ერთისაგან. — ამას აქ მივანებოთ თავი და ახლა ისი მოვიხსენიოთ, თუ რისათჳს და რათ დაწესდა უმაღლესის მთავრობისაგან გენჯი, რა აზრი აქუს, როგორა ვხმარობთ უმაღლესის მონდობილობისა, რა გამოდის და რა გამოვა ამ ყოვლად ხინებულის წესდებუ-

ლებისაგან?...

მთავრობამ, იმ დღითგან, რა დღითგანაც საქართველო იმყოფება რუსეთის მფარველობასა ქვეშე, დაგვიწესა, რომ ჩუენმა კეთილშობილთ საზოგადოებამა ამოირჩიონ ზოგი ერთის სამსჯავროებში, იმ თანამდებობის აღმასრულებელად, რომელითამაც დიდი ხმა აქვსთ და დიდს როლს თამაშობენ, ის პირნი, რომელთაცა საზოგადოება თავის შორის დაინახავს ღირსეულად, ესე იგი, დაინახავს, რომ ამოირჩეული პირი, ვინიცობაა გაჭირდა საქმე, რომელიცა მოითხოვს მაღალს მსაჯულებასა, დაიცვამს საზოგადოების, ანუ განსაკუთრებულის სიმართლის მხარეს. ამ სიმართლით დაცვაც შეუძლიან მხოლოდ ნასწავლს და განვითარებულს კაცს, რომელსაცა კარგათ ესმის თჳთეულის საგანის ღირსება და რომელმაც იცის, რაში მდგომარეობს ეს უდიდესი მისდამი მინიჭებული ვალი. აქ არის მხარეა მოგებაში. მთავრობაცა და საზოგადოებაცა. მთავრობა—ამისთჳს, რომ ამ ღონისძიებით უფრო მოიპოვებს კეთილის სინიდისის და მართლმსაჯულს პირს, რადგანაც საზოგადოება უფრო ჰსცნობს თავისის საზოგადოების მწევრს, ვიდრე მთავრობა, რომელიცა უფრო შორავს. ახლა ეს ვსთქვათ, თუ რათ დაწესდა კენჭი?

ეს ცხადია, ვინც კი ყურადღებით თვალს გადავლებს: ეს იმისათვის დაწყვდა, რომ საზოგადოება, ანუ ქალაქელობა არ იყოს ეჭვში, რომ მთავრობას ჩვენთვის ვითომც კეთილი არ უნდა, — ჩვენვე ვარჩევთ ჩვენის საქმის განსაჯელს და ჩვენგანის საქმის დაცვას, მაგრამ ეს მიმართვა ბევრს ესმის ეს აზრი? ვებეჯებით შემოკლებით ვსთქვა, რომ არა!...

აი, შეიკრიბნენ ჩვენნი კეთილშობილნი; აი, დაიწყეს რიგი ზარის, რომელიც მოიწვევს ფიცის მისაცემად მისდამი, რომელიც ყოველთვის მოითხოვს მართლმსაჯულებისა. აქ, დიდი სიმართლით გარდაც თამაშობს როლს. მაგრამ აი უბედურება! ზოგი იცყ მიდის, თითქოს ქორწილში მიმხნდებით; თითქოს ფიცი არაფერია; თითქოს, ის მეკარულება, რომელიც ეკურებიან უსიკვდილის, თამაშობა არისო!... ვათავდა ფიცი, დაიწყო ალმარიჩვა, შეიყარნენ თუ არა, მოჭყვნენ ყაჯანს, ოთხკუთხივ შეეკრნენ ბარკაები, მსწავლულნი და უსწავლელნი, გონიერნი და უგონონი, ერთის გულით და ერთის უფლებით ყვირიან. და რა გამოდის აქედან? ერთი იმასის, ოქუჩნი მეორემ ეს და ეს კაცი ჩული მოყვარე და ის ამიკვირობით. ამას უშასუხებს სხვა, მე იმას ამოვირჩევ და ჩემს მეგობარსაც ვეტყვი კენჭს ჩავაგდებინებ ყუთში, თუ

თქუენცა, აგერ, იმ ღარიბს და დაცემულს კაცს ამა და იმ ალაგს მოუსყრისებით, ცოლშვილიანი კაცი და საზრდო უნდათ.— ო უბედურებავ! წმინდად უბედურებავ! ერთის ღარიბს კაცს ართმევინებენ მრთელს საზოგადოებას; ერთის ღარიბს კაცსკი ხივიან და მრთელის საზოგადოების გალარიბებასკი არს!... საწყალოი? აჩუქეთ, სხუა ღონისძიება მოუძიეთ. ის რომ ღარიბი იყოს, მაგისათვის თავისი სული უნდა დაიღუპოს?... ამ ბარკვლებმა ეს დაასკუნეს, მაშინ როდესაც რომ გუშინ მისცეს აღთქმა ზენაარს, ღარისეულის ცხოვრებისათვის!.. აი, დასხდნენ და დგნენ თავთავის ალაგს, მოთმინეჭურის ცემით ყურის, რომ დაწყდნენ. გაწყდა საქმეც, უფროსნი ერთმანეთის და იისოვან ერთმანეთისაგან დაშორდნენ. გამოვიდა სცენაზედ ერთი და სცეუორცნა ქალი, მაგი თუ ითარი, ის ჭკუარს ქსნანი. ზოგისაკი მგზავრულიო გამოჩნდეს, რადგანც ჭკუით აგდებს (ეს ბედით ქმილი და სალმოით ალიქმის დაცუა). გამოვიდა მეორე მესამე,— მეოთხე, რომელსაცა სრულებით არა აქუს ვალდებულება რისათვის და რათ არის ეს ამბავი, ფეხის ქადაგებს არცკი იცის რიგისაიდ, ისე მეორეთლობს ამ მეკრებაში,— მიუახლოვდა ყურს, მეჭურჭელი. და ნაცარ ქაქასავით ჭქაქავს ერთი საათი

მეტი, არ იცის საითკენ გადაგდოს. ბოლოს მო-ისვენ_მოისვენებს და როდესაც თვალით ანიშნეს მო-ზარდეთა, მაშინ გადაუშვა ლუდის სანაპიროზე საითკენაც მოსვდა. ამ საშინელებას და უბედურების ქვეყნის უფროსს კუთხითგან, კეთილშობილი ქალი, მაღალი გონიერი, განვითარებული, ნასწავლი, ყოვე-ლის კეთილის გრძნობით სავსე, ქალის საქციელ-ისეთი, რომ საზოგადოებისათვის მზად არის თავი-ს თავი მსხვერპლად შესწიროს, მოსდის ცრემლი გული ევსება ცეცხლით, თვალები ცრემლით,— ბოლოს მოარიდებს თვალს და თავს მხარს ჩაჰკიდებს. ამას ვინ აქცევს ყურადღებას? არავინ. ამისათვის, რომ არავისთვის უთხოვნია, სხვები არ გაუკეთებია, საქმე სხვა აქვს, მაგრამ ისინი ეზარება, და იქნება ლაპარაკიც არის ვინ იცის! ამ სილამაზეს გამოცდილი ქალის, ნასწავლი, ფაქიზი კეთილი გრძნობა. უნდა დავიჯეროთ საზოგადოების კეთილ-მდგომარეობა.—გადავხედავ ბოლოს ისე, რომ ექვსს და მეტს თანამდებობის პირი, ვინც ან რომ-ულდა ალმასხორან ლოცულობს და ეს რამეც სასი-თავის ბოლოჩა შორის არაფერი გამოხსნილი და თუ გამოხსნილს და დაიწყეს ლაპარაკი ზურგს ისე შეაქცევს ამ საზოგადოებას, რომ თითქოს არავი-სცნობდეს. ასეთივე ისევ საქმე და როგორც ვაწყო-

რავთ ქართველებო, ისეთ ისე უნდა ვჰწეროთ. მხოლოდ ვიმასოთ, უმეცური ქმწერნაათქო; უმეცურნი ხალხნი ვართ ქართ. ვინც მიზეზია, იმასკი აღარ ვასწენები. — ეს ზუმით მოსხსნებული რაც რამ ვთქვ, მაწერალენო კეთილმწოვენო! არ შეიძლება მოვაწეროთ ცეცლას. ეს ვანობ ერთს და იქნება თოსაც და სამსაც მოთანამდებო მართა ამ ეგერად ამორჩეული და რომელსაც მიყავ იმათთან ყოველის ლონის მიებით ვცდილობ ჩვენი ღვაწლით თავი და ვამოვიდე, იმენი მიდინ საქმეებისათჳს. და აი საკვირველი! ყოველს კაცს ისეთს ამისეს აულიეს რომ კმაყოფილებით მიიღებიან. როგორ არა ვსთქვა რაც მართალია, სული მაქვს მისაცემი, მაგრამ თქვენ ეს მიმასცა, ბევრნი მოიმოქმედებიან ჩვენს ცოდვილს ქვეყანაში? აქ ვეჩვენებები. მხოლოდ ვიცი ამას, ისეთს ლმერთმა, რომ დავაფასოთ ყოველის მხრივ ეს ჩვენდამი მონდობილი კეთილისმსურველის მოვალეობისაგან უფლება კეთილ სინდისით ჩვენისავე კეთილდღეობისათჳს. — მაგრამ, ჰო! უმთავრესი კი დამავიწყდა: რა არის მიზეზი ამ უწესობის, ამ აუგულ დარიგულებისა, ამ უთანხმოებისა და დასაწყისის ამ შფოთოვრად ვინც ერთის ლიბაცვის? აი რა ვასწავლი მიზეზი ჩემი ბიჭებს! ამ ჩვენს საზოგადოებაში

მოიმიზებიან ზოგნი უსწავლელნი, როგორც ზე-მოთაც მოგახსენეთ. ამ უსწავლელს სულს და განუვითარებელს ჭკუას ისეთი სმა აქვს, როგო-რიც ვოხიერს, ნასწავლს და განვითარებულს. ეს კიდევ არაფერი. ეს უსწავლელი უფროსებსა და დიდსა ფურს, ვიდრე განვითარებულსა, მოდით და ასეთ აქ გაწყდეთ რამე. მოდით და აქ ნუ ნა-იმედებთ კეთილ აზრს, მოდით აქ იქმნენ მეც-ნიერებით და მეგობრულებით ამიაწერიეთ დარ-სულნი. — ეგი მოგახსენეთ ჩვენი კეთილწინდაუ-ქსწავლა არის საძირო მიზეზი. თუ საკუთარი სას-წავლებელი გექნებათ დაწესებული, კარგი კარგა და რიგიანად წავა, ამისთვის, რომ ეს იქნება ის საფუ-ძველი, რომელიც გაუძლებს ყოვლის ბაცის დორისებასა და ეს მოგვაწოდებს ვოხიერის ბუცთა-თვის. ჯერ ეს საქმე გამოგვით, მემდეგომებისათვის ეგ იგი იანვრის ნომერში გვეყვება მოვალეობისგან სხვა და სხვა ქალაქის ასეთ ამბებზედ. ახლა არცა მეცალიან და არც მეიმედება არ მეგობარი ეს სწავლა, რაცგანაც ძალიან მეშინიან: სადილათ სხვაგან დამწყვეტელო. კარ[illegible]? იმ ფეხის ასე ჭამისა, მ[illegible]ქვს ბანქი. ასე არ იცის ჯერ იმ ბიჭობისა, [illegible] არ ჩავუქვამ და თუ სარს [illegible]

ველაპარაკები. თქუენი მტერი თუ მეყიტეულო-სადილზედ გინცა გებანდეთ. მაგრამ ჭსღრობია წინათვე გაცნობო ჩემი თავი და შემდგომ ისე მი-ვიდე!.. საყვარელო მასპინძელო! გიხუცები სადილით, თუნდა ხაშზედ, თუნდა არჯელოზედ, მაგრამ ჩემგანკი-ნურას მოელით ლაყბობის მეტს, ამისთვის რომ მე გასლავართ,—

მოლაყბე.

—ოჰ! ერთი კიდევ დამავიწყდა, მამან, როდესაც კარგი მაწყერალი მაქეს. მაგრამ არა უშავსრა, ეს ცოტაც ბევრიან იყოს.—ლექსის გულისათვის ბატონებო, ვისაც კარგი მოგიწყერიათ ლექსიკარზედა ამ წელს, მეორე წლისათვისაც ინებეთ მაწყერა, თორემ თუ ერთი კარის მომწყერი მოიკლა ამ ჩუენს უფ. რედაკტორს, ლექსი ათეჯერ ცხვირში წამამიბოლებს: შენი სალაყბოს ფურცელი რომ არ დავიბეჭდა ეს არ დამემართებოდა. ნუ ინებებთ ამ საყვედურის მიშცეთ, თუ კიდევ გნებავსთ მოგისხენოთ რამე. ბევრი მოსასხსენებელი მაქვს ანბრის თავში.—მ.

# განცხადება.

ყოველსა, რომელნიმე განათლებულსა, ქართველსა გაგონილი აქუს ღირსება წიგნისა, თხზულისა სახელ-განთქმულის მწერლისაგან ფრანციისა, ეჟენ სუ-სი ამიომომავალი ურიაჲ (**Вѣчный жидъ**). ამის გამო არა საკჳრველ ვჰრაცხს თავსა აღვწერო აქა ქება ამისი. კმა არს ჩემდა მოხსენება, რომ თჳთქმის ყოველს განათლებულს ევროპიის ენა-ზე არი, გადალებული ეს ქმნულება და რომელთამე იმათგან-ზე რამდენიმე-ჯერ-ცა, მაგალითებრ, რუსულს ენა-ზე ოთხ-ჯერ სხუათა და სხუათა პირთაგან.

ამისთჳს მე-ცა, ღროს უქმობისასა, სასარგებლოდ თანა-მემამულეთა ჩემთა, გარდმოვიღე ის ფრანცუზულით ჩუენს ენა-ზედ, რადგან ჰორზათ არა გვაქუს ჩუენ არ-ცა თუ ერთი რომანი ღირსი ყურადღებისა, გარდა ზღაპარ-მეტყველებითა, უგვანთა სპარსულთა მოთხრობათა. და უმეტესად განმამხნო ამ ძლიერის შრომის ტჳრთვა-ზე უცხო-ცრომია ჭკნებან, რომცა თუ ქართული ენა ისე ღარიბი იყოს, რომ არ შეიძლებოდეს ამ გვარის თხზულების გადმოთარგმნა იმაზე. შესახებ თარგმანისა-ცა ვიტყუ: ენა იმისი არის არა მაღალი,

არამედ სამყაროთ, ადვილ გასაგონი და საამო.

«მიმომსვლელი» ჟურნალი არის ამის ცოდნა, ხოლო თვითეული ცოდნა შეიცავს რაოდენსამე ნაწილს.

რადგან ამ გვარი ხშირი წიგნი მოითხოვს დიდს წარსაგებელს და მისგავსამებრ მკითხველთა რიცხვსა უნდა დაიბეჭდოს ის, ამისთვის მსურველთა იმისთა ვჰთხოვ წინადვე მაცნობონ მე ეს და მერმეთვე ერთობ თვისნის სურვილის გამოცხადებისთვის ამ წიგნის მიღებისათვის წარმოუგზავნონ ჩემს სახელ-ზედ, ქ. ტფილისს, ანჩისხატის ეკკლესიის სახლ-ში, ფასიცა იმისი, რაისაცა მიღების შემდეგ დაერიგებისთ იმათ ბილეთები იმისს მისაღებელად. ფასი ამისავე ცოდნის არი ერთი თუმანი თეთრი, ხოლო ტფილისს გარეთ მცხოვრებთა მიემატება ფოსტის ფული.

რა შესრულდების ჟურნალის მომწერთა რიცხვ მაშინ-ვე ჟურნალ-ვჰყოფთ ბეჭდვასა.

ჟურნალის მომწერნი, რასაკვირველია, გარჩევით მოიწერებიან თვისნითა სახელითა და მერმეთვე ადგილსა თვისნისა მყოფობისასა.

სარდიონ ალექსიევ-მესხიევი.

ჩუენის მხრით, უნდა მოვახსენოთ ჩუენის ცის-
კრის მკითხველთ, რომ ეს ზემო მოხსენებული
რომანი ჩუენ წავკითხავს და იმ სახალხო ენით
არის ნათარგმნი, რომელსაც იმედი გვაქუს ხა-
ლხით წაიკითხვენ გამომწერნი. «ცისკრის» მკით-
ხველთ, ბევრთა მოეხსენებათ სიტყუაკრება უფ. სარ-
დიონ ალექსიევ-მესხიევისა, რომელიც დაწყებით-
გან ჩუენის ჟურნალის გვაძლევს შემწეობას და
რომელიცა გვიმზადებს ამ ახლოს დროში
«ცისკრისათვის» მოთხრობას. —

რ.

---

## რედაქციისაგან.

მომავალს წელიწადს ისე ვმართავთ ჩუენს რედაქციას, რომ რასაც წიგნს გამოჰსცემს, ყოველს წიგნში იქნება ფორტრეთი ძველის მწერლებისა, მაგალითად: რუსთაველისა, თ. ნ. ბარათაშვილისა, თ. ალ. ჭავჭავაძისა და სხ. რასაკვირველია რომლის სახესაც ვიშოვნით. ამას გარდა ახალთ გამოჩენილთ მწერლებისა, ძველის ცისკ

ქალაქების და მონასტრების, რაც რამ საქართველოში დაგვრჩენია სახსოვრად, თავისის აღწერილობით,—ხოლო მწერლების პორტრეტებს დაემატებათ ბიოგრაფია. (ცხოვრების აღწერა) ამის იმედს ვერ მივცემთ მკითხველებს, რომ მომავალსავე წელიწადს შეუდგეთ, მხოლოდ მომავალს წელიწადს ვეცდებით მოვმართოთ. ამ საგანს დაუთმობთ ჩვენს ჟურნალში ერთს ნაწილს.—

---

—დარწმუნებულნი ვართ, რომ პატივცემულნი ჩვენის «ცისკრისა» მკითხველნი და არა მკითხველნიც მიიღებენ სასიამოვნოდ, რომ ამ მოკლეს დროში გამოვა «საზოგადო კალენდარი» ჩვენს საკუთარს ენაზედ. ამ კალენდარში იქნებიან: 1, კალენდარის ისტორია, 2, განმარტება ქართულის ქორონიკოსი, 3, სჳნაკსარი მრთელის წლისა 4, მოძრავნი მარხვანი და დღეობანი და 5, სვლა მთვარისა სანიადაგო.—ფასს ვაცნობებთ თავისს დროზედ.—ეს კალენდარი გამოდგება ორმოც წლამდინ.

---

1861 წლის, იანვრის ნომერში იქნებიან შემდეგომნი სტატიები:

I.—ნაამბობი მოხუცისა. (პოემა) თ. რაფიელ ერისთავისა.— ჭოფოფი,—თ. ევგენ დვებჟუაშისა.—II.—სოლომან ისაკიჩ მეჯღანუაშვილი,—(რომანი) ლავ. არდაზიანისა.—III. ლექსები: ალბომში. ლი. პი. თ. გრ. ორბელიანისა.—თვალები, თ. ნიკ. ბარათაშვილისა.—გრემის ნაქალაქევი, ივ. კერესელიძისა.—ლოდინი, თ. აკ. წერეთლისა.—ჩემს ძმას რაფიელს, კნ. ბარბარე ჟორჟაძისა.—მთხოვნელი მსაჯულისადმი, იოსებ მიქაბერიძისა.—IV.—რუსის ომის ამბავი, თქმული თვით მის მეომრის, ზაქარიოზ გაბაშვილისაგან.— —ახალი გუთანი ევროპაში შემოღებული, თ. ესტატე მაღალაშვილისა.—VI.—კახეთში მოგზაურობა ივ. კერესელიძისა.—VII.—ნაკმაზი. ა. თბილელისა.

რადგანაც გარჩევთ ჯერ ძველ წიგნებს, ამისთვის პირველ ნომერში ვერ მოხერხდა.—ამას გარდა ვამჯობინეთ პროზის ნაწილში არდაზიანის რომანის დაბეჭვდა. შემდეგომს იქნება «შამილის ტყვენი.»

რადგანც ჯერ ცენზურითგან არ მიგვიღია, თე-ბერვლის ნუმერში დავაბეჭდინებთ ორს მოთხრო-ბას: «ჩამორჩენილი».—ნიკოლოზ ნიკოლა-ძისა და «ეგაპრეა მოცლიანდიის კოროლევასი მარიამ სტიუარტის დასილევენის ცისე დარბა-ზიდამ» დ. ლოლობერიძისა.—ამ კოროლევას გარემოების გამორცხვი ივისრი რედაქციამ.